**სს "ჯგუფი სადაზღვევო კომპანია ალდაგი ბისიაი"**
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

*2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით*
*დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

**წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს**

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა


ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება ............ 1
მოგება ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგება ............ 2
სრული შემოსავლების კონსოლიდირებული ანგარიშგება ............ 3
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება ............ 4
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება ............ 5


კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები


1. ძირითადი საქმიანობა ............ 6
2. შედგენის საფუძველი ............ 6
3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა ............ 8
4. მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და დაშვებები ............ 27
5. საწარმოთა გაერთიანება ............ 29
6. გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები ............ 32
7. ძირითადი საშუალებები ............ 33
8. გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები ............ 35
9. გადასახადები ............ 35
10. სხვა აქტივები ............ 37
11. მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან ............ 38
12. გადავადებული აკვიზიციურიხარჯები ............ 38
13. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ ............ 40
14. ფული და ფულის ეკვივალენტები ............ 40
15. გაუფასურების რეზერვები ............ 41
16. კაპიტალი ............ 41
17. ვალდებულებები საპენსიო დანაგროვზე ............ 42
18. სადაზღვევო ვალდებულებები და გადაზღვევის აქტივები ............ 43
19. სხვა სადაზღვევო ვალდებულებები ............ 48
20. ფინანსური ვალდებულებები ............ 49
21. კრედიტორული დავალიანებები ............ 49
22. სხვა ვალდებულებები ............ 49
23. პირობითი ვალდებულებები ............ 50
24. წმინდა სადაზღვევო შემოსავალი ............ 51
25. საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი ............ 51
26. სხვა საოპერაციო შემოსავალი ............ 52
27. წმინდა სადაზღვევო ზარალები ............ 52
28. აკვიზიციის ხარჯები, გადაზღვევის გარეშე ............ 52
29. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი ............ 53
30. საერთო ადმინისტრაციული ხარჯი ............ 53
31. გაწეული სამედიცინო მომსახურებით მიღებული შემოსავალი ............ 53
32. გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარჯი ............ 54
33. რისკების მართვა ............ 54
34. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება ............ 70
35. დაკავშირებულ მხარეთა გარიგებები ............ 71
36. გარემოებები საანგარიშო თარიღის შემდეგ ............ 72

# დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი ბისიაის“ აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს –

ჩვენ ჩავატარეთ სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი ბისიაის“ და მისი შვილობილი კომპანიების (ერთობლივად “სს ჯგუფი სადაზღვევო კომპანია ალდაგი ბისიაი”) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, აგრეთვე სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგებებს ამავე თარიღით დასრულებული წლებისთვის, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

*ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე*

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ასეთი პასუხისმგებლობა მოიცავს უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობების გარეშე შედგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნით, შიდა კონტროლის სისტემების შემუშავებას, დანერგვასა და განხორციელებას.

*აუდიტორის პასუხისმგებლობა*

ჩვენ ვალდებულნი ვართ, ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება აღნიშნულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტები მოითხოვს ეთიკური ნორმების დაცვას, აგრეთვე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას იმგვარად, რომ მოვიპოვოთ გონივრული რწმუნება, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს მნიშვნელოვან უზუსტობას.

აუდიტი გულისხმობს ისეთი პროცედურების ჩატარებას, რომლებიც გამიზნულია მტკიცებულების მოპოვებაზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოყვანილი თანხებისა და განმარტებების თაობაზე. შერჩეული მეთოდიკა დამოკიდებულია აუდიტორთა მოსაზრებაზე, მათ შორის, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკის შეფასების თაობაზე, მიუხედავად იმისა, იქნება მსგავსი უზუსტობა დაშვებული უნებლიედ თუ განზრახ. იმისათვის, რომ შეიმუშაოს ვითარებისა და გარემოების შესატყვისი პროცედურები, რისკების შეფასებისას აუდიტორი ითვალისწინებს შიდა კონტროლის არსებულ სისტემებს, რომლებიც ქმნის შესაბამის პირობებს ორგანიზაციის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის. აღნიშნულის მიზანს არ წარმოადგენს მოსაზრების გამოხატვა ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემების ეფექტურობაზე. აუდიტი ასევე მოიცავს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის და სააღრიცხვო შეფასებების სისწორისა და მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

დარწმუნებულნი ვართ, რომ აუდიტის პროცესში მოპოვებული მტკიცებულებები საკმარის და სათანადო საფუძველს გვაძლევს აუდიტორული დასკვნისათვის.

*დასკვნა*

ჩვენი აზრით, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს “სს ჯგუფი სადაზღვევო კომპანია ალდაგი ბისიაი”-ს და მისი შვილობილი კომპანიების ფინანსურ მდგომარეობას 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების ჩათვლით ამავე თარიღით დასრულებული წლებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

15მაისი, 2012

# ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

## 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

*(ათასი ლარი)*

| | *შენიშვნები* | *2011* | *2010* |
|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | |
| გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები | 6 | 16,828 | 16,147 |
| გადავადებული აკვიზიციური ხარჯები | 12 | 1,534 | 1,629 |
| ძირითადი საშუალებები | 7 | 63,428 | 10,867 |
| გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები | 8 | 3,093 | 4,576 |
| გაცემული სესხი | | 5,154 | 625 |
| გადაზღვევის აქტივები | 17 | 8,778 | 7,271 |
| გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები | 9 | 50 | 11 |
| მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივები | 9 | 409 | 212 |
| გრძელვადიანი აქტივების წინასწარი დაფარვები | 10 | 8,952 | 2,953 |
| სხვა აქტივები | 10 | 9,868 | 3,278 |
| მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან | 11 | 22,214 | 19,454 |
| მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ | 13 | 9,443 | 6,659 |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 14 | 7,106 | 9,676 |
| **სულ აქტივები** | | **156,857** | **83,358** |
| **კაპიტალი** | | | |
| სააქციო კაპიტალი | 16 | 7,243 | 7,243 |
| დამატებით შეტანილი კაპიტალი | | 10,565 | 10,565 |
| სხვა რეზერვები | | 431 | 431 |
| გაუნაწილებელი მოგება/(აკუმულირებული ზარალები) | | 8,587 | 2,473 |
| **ჯგუფის აქციონერთა მთლიანი კაპიტალი** | | **26,826** | **20,712** |
| არასაკონტროლო წილი | | 14,634 | 1,248 |
| **სულ კაპიტალი** | | **41,460** | **21,960** |
| **ვალდებულებები** | | | |
| საპენსიო ვალდებულებები | 17 | 6,353 | 4,949 |
| გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები | 9 | 1,581 | 182 |
| ვალდებულებები სადაზღვევო კონტრაქტებიდან | 18 | 35,289 | 32,580 |
| სხვა სადაზღვევო ვალდებულებები | 19 | 9,659 | 7,138 |
| ფინანსური ვალდებულებები | 20 | 26,510 | 13,138 |
| კრედიტორული დავალიანებები | 21 | 30,816 | 1,112 |
| სხვა ვალდებულებები | 22 | 5,189 | 2,299 |
| **სულ ვალდებულებები** | | **115,397** | **61,398** |
| **სულ კაპიტალი და ვალდებულებები** | | **156,857** | **83,358** |

**ხელმოწერილია და გამოსაცემად ნებადართულია სს "სადაზღვევო კომპანია ალდაგი ბისიაის" უმაღლესი მენეჯმენტის მიერ:**

| | |
|---|---|
| ნიკოლოზ გამყრელიძე | გენერალური დირექტორი |
| ირაკლი გოგია | გენერალური დირექტორის მოადგილე |
| გიორგი მინდიაშვილი | ფინანსური დირექტორი |

15 მაისი, 2011

*თანდართული შენიშვნები გვერდებზე 6-52 წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.*

# მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგება

## 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

*(ათასი ლარი)*

| | *შენიშვნები* | *2011* | *2010* |
|---|---|---|---|
| სადაზღვევო კონტრაქტებიდან მიღებული ჯამური შემოსავალი | | 62,063 | 61,040 |
| გადამზღვევლის წილი სადაზღვევო კონტრაქტებიდან მიღებულ შემოსავალში | | (10,452) | (11,129) |
| **წმინდა სადაზღვევო შემოსავალი** | 24 | **51,611** | **49,911** |
| მოგება გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივების რეალიზაციიდან | | 827 | – |
| საპროცენტო შემოსავალი | 25 | 1,798 | 949 |
| შემოსავალი სამედიცინო მომსახურებიდან | 31 | 9,257 | 2,095 |
| მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან | | (793) | 371 |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი | 26 | 3,428 | 1,164 |
| **სხვა შემოსავალი** | | **14,517** | **4,579** |
| **სულ შემოსავალი** | | **66,128** | **54,490** |
| ანაზღაურებული სადაზღვევო ზარალები | | (31,982) | (26,941) |
| გადამზღვევლის წილი ანაზღაურებულ ზარალებში | | 1,615 | 2,486 |
| ცვლილება ზარალებთან დაკავშირებულ სადაზღვევო ვალდებულებებში | | 377 | (1,370) |
| სადაზღვევო ვალდებულებებში გადამზღვევლის წილის ცვლილება | | 226 | 831 |
| **წმინდა სადაზღვევო ზარალები** | 27 | **(29,764)** | **(24,994)** |
| აკვიზიციის ხარჯები გადაზღვევის გამოკლებით | 28 | (3,367) | (3,831) |
| ხელფასები და სხვა დამატებითი გადახდები | 29 | (9,600) | (7,570) |
| ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები | 30 | (5,888) | (4,700) |
| ცვეთა და ამორტიზაცია | 6,7 | (977) | (663) |
| გაუფასურების ხარჯი | 15 | (763) | (591) |
| საპროცენტო ხარჯი | 25 | (2,230) | (1,698) |
| გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარჯი | 32 | (5,642) | (4,332) |
| სხვა საოპერაციო ხარჯი | | (626) | (427) |
| **სულსხვა ხარჯები** | | **(29,093)** | **(23,812)** |
| **სულ ზარალები და ხარჯები** | | **(58,857)** | **(48,806)** |
| **მოგებამოგების გადასახადით დაბეგვრამდე** | | **7,271** | **5,684** |
| მოგების გადასახადის ხარჯი | 9 | (769) | (662) |
| **წლის წმინდა მოგება** | | **6,502** | **5,022** |
| | | | |
| განეკუთვნება: | | | |
| - კომპანიის აქციონერებს | | 6,114 | 4,967 |
| - არასაკონტროლო პაკეტს | | 388 | 55 |
| | | **6,502** | **5,022** |

*თანდართული შენიშვნები გვერდებზე 6-73 წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს*

## სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

*(ათასი ლარი)*

| | *შენიშვნები* | *2011* | *2010* |
|---|---|---|---|
| **წლის წმინდა მოგება** | | **6,502** | **5,022** |
| **სხვა სრული შემოსავალი** | | | |
| - გასაყიდად არსებული ინვესტიციების გადაფასება | | 827 | – |
| - კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე რეკლასიფიცირებულიგასაყიდად არსებული ინვესტიციების გადაფასება | | (827) | – |
| - ძირითადი საშუალებების გადაფასება | | – | (429) |
| სხვა სრული შემოსავლის კომპონენტებთან დაკავშირებული მოგების გადასახადი | 9 | – | 74 |
| **წლის სხვა სრული წმინდა ხარჯი** | | – | **(355)** |
| **სულ წლის სრული შემოსავალი** | | **6,502** | **4,667** |
| განეკუთვნება: | | | |
| - კომპანიის აქციონერებს | | 6,114 | 4,800 |
| - უმცირესობის წილს (არასაკონტროლო პაკეტს) | | 388 | (133) |
| | | **6,502** | **4,667** |

# კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

## 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

*(ათასი ლარი)*

| | *განეკუთვნება ჯგუფის აქციონერებს* | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | *სააქციო კაპიტალი* | *დამატებით შეტანილი კაპიტალი* | *სხვა რეზერვები* | *გაუნაწილებელი მოგება* | *სულ* | *უმცირესობის წილი* | *სულ კაპიტალი* |
| **31 დეკემბერი, 2009** | **7,243** | **10,565** | **598** | **(2,494)** | **15,912** | **1,381** | **17,293** |
| სულ სრული მოგება (ზარალი) | – | – | (167) | 4,967 | 4,800 | (133) | 4,667 |
| **31 დეკემბერი, 2010** | **7,243** | **10,565** | **431** | **2,473** | **20,712** | **1,248** | **21,960** |
| სულ სრული მოგება | – | – | – | 6,114 | **6,114** | 388 | 6,502 |
| შვილობილი კომპანიების აკვიზიციით წარმოქმნილი უმცირესობის წილი | – | – | – | – | – | 12,998 | 12,998 |
| **31 დეკემბერი, 2011** | **7,243** | **10,565** | **431** | **8,587** | **26,826** | **14,634** | **41,460** |

# ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

## 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

*(ათასი ლარი)*

| | *შენიშვნები* | *2011* | *2010* |
|---|---|---|---|
| **ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან** | | | |
| მიღებული სადაზღვევო პრემია | | 61,946 | 61,596 |
| გადახდილი გადაზღვევის პრემია | | (8,321) | (12,325) |
| გადახდილი სადაზღვევო ზარალები | | (33,244) | (29,056) |
| გადამზღვევლის წილი გადახდილ ზარალებში | | 1,035 | 4,411 |
| გადახდილი აკვიზიციის ხარჯები | | (3,107) | (4,319) |
| გადახდილი ხელფასები და სარგებელი | | (7,397) | (7,613) |
| მომწოდებელთათვის გადახდილი თანხები | | (7,199) | (6,517) |
| მიღებული პროცენტი | | 958 | 458 |
| შემოსავალი სამედიცინო მომსახურებიდან | | 7,151 | 1,745 |
| სამედიცინო მომსახურების ხარჯი | | (6,052) | (1,244) |
| გადახდილი საოპერაციო გადასახადები | | (421) | (24) |
| მიღებული სხვა საოპერაციო შემოსავალი | | 1,691 | 770 |
| გადახდილი სხვა საოპერაციო ხარჯი | | (118) | (427) |
| **წმინდა ფულადი ნაკადები ოპერაციებიდან მოგების გადასახადით დაბეგვრამდე** | | **6,922** | **7,455** |
| გადახდილი მოგების გადასახადი | | (606) | – |
| **წმინდა ფულადი ნაკადები ოპერაციებიდან** | | **6,316** | **7,455** |
| **ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან** | | | |
| შვილობილი კომპანიის შეძენა, ნაღდი ფულის გამოკლებით | 5 | 408 | (435) |
| ძირითადი საშუალებების შეძენა | 7 | (14,943) | (3,412) |
| არამატერიალური აქტივების შეძენა | 6 | (274) | (40) |
| გაცემული სესხები | | (5,223) | (632) |
| (შეძენილი) ინვესტიციებიდან / მიღებული შემოსავალი | | 9 | (1,000) |
| ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი | | – | 508 |
| **წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან (საინვესტიციო საქმიანობაში)** | | **(20,023)** | **(5,011)** |
| **ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან** | | | |
| მიღებული სესხები | | 18,269 | 12,935 |
| სესხების დაფარვა | | (4,751) | (11,131) |
| გადახდილი პროცენტი | | (2,358) | (1,571) |
| **წმინდა ფული საფინანსო საქმიანობიდან** | | **11,160** | **233** |
| სავალუტო კურსის გავლენა ფულსა და ფულად ეკვივალენტებზე | | (23) | 184 |
| **ფულისა და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(კლება)** | | **(2,570)** | **2,861** |
| **ფული და ფულის ეკვივალენტები, პერიოდის დასაწყისში** | 14 | **9,676** | **6,815** |
| **ფული და ფულის ეკვივალენტები, პერიოდის ბოლოს** | 14 | **7,106** | **9,676** |

*(თანხები ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული)*

## 1. ძირითადი საქმიანობა

**სს სადაზღვევო კომპანია ალდაგი ბისიაი** („კომპანია“) არის ჯგუფის მშობელი კომპანია. ყოფილი ბრიტანეთი-კავკასიის სადაზღვევო კომპანია წარმოადგენდა 1998 წლის 11 აგვისტოს თბილისის ვაკის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებულ სააქციო საზოგადოებას. შემდგომში, 2005 წლის 15 აპრილს, კომპანიის სახელი შეიცვალა და გახდა ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით დაფუძნებული სს სადაზღვევო კომპანია ბისიაი. 2006 წლის 12 დეკემბერს სადაზღვევო კომპანია ბისიაიმ შეისყიდა სს სადაზღვევო კომპანია ალდაგის 100%.მოგვიანებით, 2007 წლის 22 ივნისს, ეს უკანასკნელი შეერწყა სადაზღვევო კომპანია ბისიაის. აღნიშნული შერწყმის შედეგად სს სადაზღვევო კომპანია ალდაგმა შეწყვიტა თავისი საქმიანობა. სადაზღვევო კომპანია ბისიაის სახელი შეიცვალა სახელით სადაზღვევო კომპანია ალდაგი ბისიაი. კომპანია ფლობს ორი სახის ლიცენზიას სადაზღვევო საქმიანობაზე, რომლებიც გაცემულია საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ სიცოცხლის და არა-სიცოცხლის სადაზღვევო პროდუქტებთან დაკავშირებით. კომპანია სთავაზობს სხვადასხვა სახის სიცოცხლის და არა-სიცოცხლის დაზღვევას ქონებასთან, ვალდებულებასთან, პირად დაზღვევასთან და სხვა პროდუქტებთან დაკავშირებით. სადაზღვევო მომსახურების გარდა, ჯგუფი ასევე ეწევა სამედიცინო მომსახურებას მისი შვილობილი კომპანია სს “ჩემი ოჯახის კლინიკის” (“MFC”) საშუალებით, რომელშიც ჯგუფი 51% წილის მფლობელია.

სს სადაზღვევო კომპანია ალდაგი ბისიაი-ს სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში. კომპანიას ასევე აქვს ხუთი სერვის-ცენტრი თბილისში, ბათუმში, ფოთში, ქუთაისსა და ოზურგეთში. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, გრიბოედოვის ქ. 34.

2011 და 2010 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 49%-ს ფლობდა სს საქართველოს ბანკი (სბ), ხოლო 51%-ს – სს ბი-ჯი კაპიტალი. ბი-ჯი კაპიტალი 100%-ით ფლობილია მშობელი კომპანიის, სს საქართველოს ბანკის მიერ. 2011 და 2010 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სბ-ის საბრუნავად გამოშვებული აქციების 91.45% ეკუთვნოდა ნიუ-იორკის ბანკს, 4,16% - East Capital Financial Institutions. სხვა აქციონერები ინდივიდუალურად სბ-ის საბრუნავად გამოშვებული აქციების 4%-ზე ნაკლებს ფლობდნენ.

## 2. შედგენის საფუძველი

### ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") შესაბამისად. ჯგუფს მოეთხოვება ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების წარმოება ქართულ ლარში, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") შესაბამისად.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულ იქნა პირვანდელი ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც აღწერილია სააღრიცხვო პოლიტიკაში ქვემოთ.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ქართულ ლარში ("ლარი"), გარდა ერთ აქციაზე მოცემული ინფორმაციისა და თუკი სხვაგვარად არ იქნა მითითებული. ლარი გამოყენებულია იმის გამო, რომ ჯგუფის ოპერაციების უმრავლესობა წარმოდგენილია ან დაფინანსებულია ქართულ ლარში. სხვა ვალუტებში წარმოდგენილი ოპერაციები განიხილება, როგორც უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები.
ჯგუფი წარადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას ლიკვიდობის მიხედვით.

*(თანხები ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული)*

## 2. შედგენის საფუძველი (გაგრძელება)

### შვილობილი კომპანიები

კომპანია წარმოადგენს ჯგუფის (შემდგომში "ჯგუფი") მშობელს, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში კონსოლიდირებულ შემდეგ საწარმოებს:

| | *მფლობელობა/ ხმის უფლება* | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვილობილი კომპანია | *2011* | *2010* | *დაფუძნების თარიღი* | *ინდუსტრია* | *შეძენის თარიღი* | *იურიდიული მისამართი* |
| სს ჩემი ოჯახის კლინიკა | 51% | 100% | 3 ოქტომბერი 2005 | სამედიცინო მომსახურების პროვაიდერი | მითით. არ არის* | საქართველო, თბილისი, გრიბოედოვის ქ. 34 |
| სს ქუთაისის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ქირურგიული ცენტრი | 55% | 55% | 24 მაისი 2000 | სამედიცინო მომსახურების პროვაიდერი | 20 მაისი, 2008 | საქართველო, ქუთაისი,პაოლო იაშვილის ქ. 9 |
| შპს ქუთაისის რეგიონალური კლინიკური ჰოსპიტალი | 100% | 100% | 24 სექტემბერი 2010 | სამედიცინო მომსახურების პროვაიდერი | 24 სექტემბერი 2010 | საქართველო, ქუთაისი, ოცხელის ქ. 2 |
| სს „ბიზნეს ცენტრი ყაზბეგზე" | 100% | - | 22 ივნისი 2010 | სხვადასხვა | 24 აგვისტო 2011 | საქართველო, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 44 |
| სს ზუგდიდის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო „რესპუბლიკური" | 100% | - | 11 ივნისი 1998 | სამედიცინო მომსახურების პროვაიდერი | 29 ნოემბერი 2011 | საქართველო, ზუგდიდი, გამსახურდიას ქ. 206 |
| სს ქუთაისის რაიონული დედათა და ბავშვთა სამკურნალო და დიაგნოსტიკური ცენტრი | 66.7% | - | 5 მაისი 2003 | სამედიცინო მომსახურების პროვაიდერი | 29 ნოემბერი 2011 | საქართველო, ქუთაისი, ჯავახიშვილის ქ. 85 |
| სს ჩხოროწყუს რეგიონალური ცენტრალური საავადმყოფო | 100% | - | 30 ნოემბერი 1999 | სამედიცინო მომსახურების პროვაიდერი | 29 ნოემბერი 2011 | საქართველო, ჩხოროწყუს რაიონი, მშვიდობის ქ. 16 |
| შპს აკად. ზ. ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრი | 66.7% | - | 15 ოქტომბერი 2004 | სამედიცინო მომსახურების პროვაიდერი | 29 ნოემბერი 2011 | საქართველო, ქუთაისი ა. ჯავახიშვილისი ქ. 83 |
| შპს წალენჯიხის ე.კ. ფიფიას სახელობის ცენტრალური საავადმყოფო | 100% | - | 1 სექტემბერი 1999 | სამედიცინო მომსახურების პროვაიდერი | 29 ნოემბერი 2011 | საქართველო, წალენჯიხა, ჭურღულიას ქ. 6 |
| შპს მარტვილის მრავალ-პროფილიანი საავადმყოფო | 100% | - | 17 მარტი 2000 | სამედიცინო მომსახურების პროვაიდერი | 29 ნოემბერი 2011 | საქართველო, მარტვილი, მშვიდობის ქ. 111 |
| შპს აბაშის ამბულატორიული-პოლიკლინიკა | 100% | - | 16 მარტი 2000 | სამედიცინო მომსახურების პროვაიდერი | 29 ნოემბერი 2011 | საქართველო, აბაშის რაიონი, თავისუფლების ქ. 141 |
| შპს წყალტუბოს რეგიონული საავადმყოფო | 66.7% | - | 29 სექტემბერი 1999 | სამედიცინო მომსახურების პროვაიდერი | 29 ნოემბერი 2011 | საქართველო, წყალტუბო, ერისთავის ქ. 16 |
| შპს ხობის ცენტრალური რეგიონული საავადმყოფო | 100% | - | 13 ივლისი 2000 | სამედიცინო მომსახურების პროვაიდერი | 29 ნოემბერი 2011 | საქართველო, ხობი, ჭყონდიდელის ქ. 2 |

* აღნიშნული შვილობილი საწარმო დააფუძნა კომპანიამ.

*(თანხები ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული)*

## 2. შედგენის საფუძველი (გაგრძელება)

### ფულადი ნაკადების წარდგენა

ჯგუფი გაწერს ფულად ნაკადებს ფინანსური აქტივების შესყიდვიდან და გაყიდვიდან, როგორც საოპერაციო ფულად ნაკადებს, ვინაიდან შესყიდვების დაფინანსება სადაზღვევო კონტრაქტებთან ასოცირებული ფულადი ნაკადებით ხდება, რასაც აკლდება სადაზღვევო კონტრაქტებით გადახდილი პრემიები და სადაზღვევო მოთხოვნები. აღნიშნული, თავის მხრივ, საოპერაციო საქმიანობად მოიაზრება.

## 3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

### ახალი და შეცვლილი სტანდარტებისმიღება და ინტერპრეტაციები

წლის განმავლობაში ჯგუფმა მიიღო შემდეგი ახალი ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები („ფასს“) და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის ინტერპრეტაციები(„ფაისკი“) და მათი ცვლილებები. ძირითადი ცვლილებების შედეგები იხილეთ ქვემოთ:

*ბასს 24 "დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები" (კორექტირებული)*

2009 წლის ნოემბერში გამოშვებული და 2011 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ პერიოდებთან დაკავშირებით მოქმედი კორექტირებული ბასს 24 ამარტივებს განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნებს სამთავრობო ორგანიზაციებთან დაკავშირებული საწარმოებისათვის და გაწერს დაკავშირებული მხარის განმარტებას. წინა პერიოდში, საწარმო, რომელიც ექვემდებარებოდა სამთავრობო ორგანოების კონტროლს ან განიცდიდა მნიშვნელოვან გავლენას მათი მხრიდან, ვალდებული იყო წარმოედგინა ინფორმაცია ყველა ოპერაციაზე ანალოგიური კონტროლის ქვეშ მყოფ სხვა საწარმოებთან. კორექტირებული სტანდარტი მოითხოვს ამგვარი ოპერაციების განმარტებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი არსებითია ინდივიდუალურად ან კოლექტიურად. კორექტირებული ბასს 24 ძალაშია 2011 წლის 1 იანვარს დაწყებული შემდგომი წლიური პერიოდებისათვის. ბასს 24 არავითარ გავლენას არ ახდენს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

*ბასს 32-ის ცვლილებები "ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა": უფლებების კლასიფიკაციის საკითხები*

2009 წლის ოქტომბერში, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ ("ბასსს") გამოსცა ბასს 32-ის ცვლილება. საწარმოები მიიღებენ აღნიშნულ ცვლილებას 2010 წლის 1 თებერვალს ან მის შემდგომ დაწყებული სააღრიცხვოპერიოდებისათვის. ცვლილება აკორექტირებს ფინანსური ვალდებულების განმარტებას ბასს 32-ში უფლებების კლასიფიცირების მიზნით და განმარტავს რიგ ოფციონებსა და გარანტიებს, როგორც კაპიტალის ინსტრუმენტებს. აღნიშნული ძალაშია, თუ უფლებები მინიჭებულ იქნა საწარმოს არაწარმოებული კაპიტალის ინსტრუმენტების ანალოგიური კლასის ყველა მფლობელისათვის პროპორციული წესით, ამგვარი ინსტრუმენტების ფიქსირებული რაოდენობის ფიქსირებულ თანხად შესასყიდად ნებისმიერ ვალუტაში. აღნიშნულ ცვლილებას არავითარი გავლენა არ მოუხდენია ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

*(თანხები ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული)*

## 3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### ახალი და შეცვლილი სტანდარტებისმიღება და ინტერპრეტაციები (გაგრძელება)

*ფაისკი 19 "ფინანსური ვალდებულებების კაპიტალის ინსტრუმენტებით გაქვითვა"*

ფაისკი 19 გამოცემულ იქნა 2009 წლის ნოემბერში და ძალაშია 2010 წლის 1 იანვარს და მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის.ინტერპრეტაცია განმარტავს აღრიცხვას მაშინ, როდესაც ხდება ფინანსური ვალდებულებების პირობების გადახედვა და შედეგად საწარმო უშვებს კაპიტალის ინსტრუმენტებს კრედიტორზე ფინანსური ვალდებულების სრულად ან ნაწილობრივ დასაფარად. ფაისკი 19-ს არავითარი არსებითი გავლენა არ ჰქონია ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

*ფასს-ის გაუმჯობესებები*

2010 წლის მაისში ბასსს-მ გამოსცა მისი სტანდარტების ცვლილების მესამე კრებული, რომლის ძირითად მიზანს უზუსტობათა აღმოფხვრა და ტექსტობრივი განმარტებები წარმოადგენდა. ცვლილებათა უმეტესობა ეხება 2011 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებულ წლიურ პერიოდებს. ასევე წარმოდგენილია ცალკეული გარდამავალი მუხლები თითოეული სტანდარტისთვის. 2010 წლის მაისის ცვლილებები – "ფასს-ის გაუმჯობესებებმა" გავლენა იქონია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობაზე, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ:

- ფასს3 - საწარმოთა გაერთიანება:ამცირებს შეფასების არჩევანს. მხოლოდ უმცირესობის წილის კომპონენტები, რომლებიც მიმდინარე მფლობელობის წილს წარმოადგენენ და ლიკვიდაციის შემთხვევაში მათ მფლობელებს ანიჭებენ საწარმოს ნეტო აქტივების პროპორციულ წილს, უნდა აღირიცხონ სამართლიანი ღირებულებით, ან მიმღების ამოცნობადი ნეტო აქტივების მიმდინარე მფლობელობის ინსტრუმენტების პროპორციული წილით. ფასს 3-ის ცვლილებებმა გავლენა არ იქონიეს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.
- ფასს 7 - ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა;წარმოადგენს ცვლილებებს რაოდენობრივ და საკრედიტო რისკის წარდგენაში. დამატებითმა მოთხოვნებმა მცირე გავლენა იქონია, მზა ინფორმაცია ხელმისაწვდომია.
- ფასს 1-ის, ფასს 3-ის, ბასს 1-ის, ბასს 27-ის და ფაისკი 13-ის ცვლილებები არ იქონიებს გავლენას ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკაზე, ფინანსურ მდგომარეობასა თუ შედეგებზე.

შემდეგი კორექტირებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღებას არ ჰქონია არსებითი გავლენა ჯგუფის ფინანსურ მაჩვენებლებსა და შედეგებზე:

- ფასს 1 ფასს-ის პირველადიმომზადება – ლიმიტირებული გამონაკლისები ფასს 7-ის მოთხოვნებიდან ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების პირველადი მომზადების დროს
- ფაისკი 14 გადახდილი ავანსები მინიმალური ფინანსირებისთვის

*(თანხები ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული)*

## 3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### კონსოლიდაციის საფუძველი

***შვილობილი კომპანიები***

*კონსოლიდაციის საფუძველი 2010 წლის 1 იანვრიდან*

შვილობილი კომპანიები, ანუ ის ორგანიზაციები, რომლებშიც ჯგუფს გააჩნია ხმათანახევარზე მეტის შესაბამისი წილი, ან სხვაგვარად გააჩნია უფლება აკონტროლოს მათი საქმიანობა, წარმოადგენენ კონსოლიდირებულ საწარმოებს. შვილობილი კომპანიები კონსოლიდირებულად მიიჩნევა ჯგუფის კონტროლის უფლების წარმოშობიდან და მათ აღარ გააჩნიათ აღნიშნული სტატუსი კონტროლის უფლების შეწყვეტისას. ყველა კომპანიათაშორისი ოპერაცია, ნაშთები და არარეალიზებული მოგება კომპანიებს შორის ოპერაციებიდან იქვითება სრულად. არარეალიზებული ზარალი ასევე იქვითება იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ოპერაცია იძლევა გადაცემული აქტივის გაუფასურების საფუძველს. საჭიროების შემთხვევაში, შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკა შეცვლილია ჯგუფის მიერ მიღებულ პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

კომპანიის საკუთრების უფლების წილის ცვლილება კონტროლის ცვლილების გარეშე აღირიცხება, როგორც კაპიტალით წარმოებულ ანგარიშსწორებაზე დაფუძნებული გარიგებები.ზარალები განეკუთვნება უმცირესობის წილს მაშინაც კი, როდესაც ეს იწვევს უარყოფით ნაშთს.

თუ ჯგუფი კარგავს კონტროლს საწარმოზე, ის ჩამოწერს საწარმოს აქტივებს (გუდვილის ჩათვლით) და ვალდებულებებს, არა-საკონტროლო წილის საბალანსო ღირებულებას, კაპიტალში ასახულ ჯამურ საკურსო სხვაობებს, ასახავს მიღებული საფასურის სამართლიან ღირებულებას, ნებისმიერი ინვესტიციის სამართლიან ღირებულებას და მოგებაში და ზარალში დეფიციტის მეტობას, და მოახდენს მშობელი კომპანიის კომპონენტების წილის რეკლასიფიკაციას, რომელიც უწინ აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავალში მოგებასა და ზარალზე.

***საწარმოთა გაერთიანება და გუდვილი***

*საწარმოთა გაერთიანება 2010 წლის 1 იანვრის შემდგომ*

საწარმოთა გაერთიანება აღირიცხება შესყიდვის მეთოდით. შესყიდვის ღირებულების გაანგარიშება ხდება შემდეგი კომპონენტების აგრეგირებით: გადახდილი საფასური შესყიდვის დღის სამართლიანი ღირებულებით და მიმღების უმცირესობის წილის მოცულობა. საწარმოთა გაერთიანების თითოეული შემთხვევაში, მიმღები აფასებს უმცირესობის წილს სამართლიანი ღირებულებით ან მიმღების ამოცნობადი ნეტო აქტივების პროპორციული წილის შესაბამისად. შეძენის ხარჯების აღიარება ხდება იმავე პერიოდის მოგება-ზარალში.

*(თანხები ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული)*

## 3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### *საწარმოთა გაერთიანება და გუდვილი (გაგრძელება)*

### კონსოლიდაციის საფუძველი (გაგრძელება)

როდესაც ჯგუფი შეისყიდის საწარმოს, ის აფასებს ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს შესაბამისი კლასიფიკაციით და დანიშნულებით, საკონტრაქტო ვალდებულებების, ეკონომიკური პირობებისა და მშობელი კომპანიის პირობების შესაბამისად შესყიდვის თარიღისათვის. აღნიშნული მოიცავს ჩართული წარმოებული ინსტრუმენტების განცალკევებას ხელშეკრულებებში მიმღების მიერ.

თუ საწარმოთა გაერთიანების ეტაპები დასრულებულია, ხდება მიმღების უწინ არსებული კაპიტალის ინსტრუმენტების შეძენის თარიღის სამართლიანი ღირებულების გადაფასება შეძენის თარიღისათვის არსებული სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით.

ნებისმიერი პირობითი ანაზღაურება, რომელიც გადახდილ უნდა იქნას მიმღების მიერ, აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით შეძენის თარიღისათვის. პირობითი საფასურის სამართლიანი ღირებულების შემდგომი ცვლილებები, რომელიც მოიაზრება აქტივად ან ვალდებულებად, აღიარებულ უნდა იქნას ბასს 39-ის შესაბამისად მოგება-ზარალში, ან როგორც სხვა სრული შემოსავლის ცვლილება. თუ პირობითი საფასური კლასიფიცირებულია კაპიტალად, არ ხდება მისი ხელახლა შეფასება, ვიდრე არ მოხდება მისი საბოლოო კონვერტაცია კაპიტალში.

გუდვილი თავდაპირველად აღირიცხება გადახდილ საფასურსა და ჯგუფის შეძენილ ამოცნობად ნეტო აქტივებს და მოსალოდნელ ვალდებულებებს შორის სხვაობით. თუ გადახდილი საფასური ნაკლებია შეძენილი კომპანიის ნეტო აქტივების სამართლიან ღირებულებაზე, სხვაობის აღიარება ხდება მოგება-ზარალში.

გუდვილი თავდაპირველად აღირიცხება გადახდილ საფასურსა და ჯგუფის შეძენილ ამოცნობად ნეტო აქტივებს და მოსალოდნელ ვალდებულებებს შორის სხვაობით. თუ გადახდილი საფასური ნაკლებია შეძენილი კომპანიის ნეტო აქტივების სამართლიან ღირებულებაზე, სხვაობის აღიარება ხდება მოგება-ზარალში.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ, გუდვილის შეფასება ხდება თავდაპირველი ღირებულებით, რასაც აკლდება ნებისმიერი დარიცხული გაუფასურების ზარალი. გაუფასურების შემოწმების მიზნებისათვის, ბიზნესის გაერთიანებისას დარიცხული გუდვილი, შესყიდვის თარიღიდან გადანაწილდება ჯგუფის ფულადი ნაკადების მომტან ბიზნეს ერთეულებზე, ან ფულადი ნაკადების მომტან ბიზნეს ერთეულთა ჯგუფებზე, რომლებიც სავარაუდოდ ისარგებლებენ გაერთიანებით, იმისდა მიუხედავად, განეკუთვნება თუ არა ჯგუფის სხვა აქტივები და ვალდებულებები აღნიშნულ ბიზნეს ერთეულებს თუ ბიზნეს ერთეულთა ჯგუფებს.

როდესაც გუდვილი განეკუთვნება ფულადი ნაკადების მომტან ბიზნეს ერთეულთა ჯგუფს და ამ ერთეულის ოპერაციების ნაწილი არის გასხვისებული, გასხვისებულ ოპერაციასთან დაკავშირებული გუდვილი ჩართულია აღნიშნული ოპერაციის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც ხდება ამგვარი ოპერაციის გასხვისებით მიღებული მოგების ან ზარალის განსაზღვრა. ამ შემთხვევაში, გასხვისებულ ოპერაციაზე გუდვილის განსაზღვრა ხდება ამ ოპერაციის ხვედრითი წილის და ფულადი ნაკადების მომტანი შენარჩუნებული ერთეულის ნაწილის შესაბამისად.

*(თანხები ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული)*

## 3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### კონსოლიდაციის საფუძველი (გაგრძელება)

*საწარმოთა გაერთიანება 2010 წლის 1 იანვრამდე*

ზემოთაღნიშნულ სამომავლო მოთხოვნებთან შედარებით მიღებულ იქნა შემდეგი სხვაობები:

საწარმოთა გაერთიანება აღირიცხა შესყიდვის მეთოდით.შესყიდვასთან პირდაპირ დაკავშირებულმა გარიგების ხარჯებმა შეადგინა შესყიდვის ხარჯების ნაწილი. არასაკონტროლო პაკეტი (რომელიც ცნობილი იყო, როგორც უმცირესობის წილი) შეფასებულ იქნა მიმღების ამოცნობადი ნეტო აქტივების პროპორციული წილით.

საწარმოთა გაერთიანება აღირიცხა ეტაპობრივად.ნებისმიერი დამატებითი შეძენილი წილი არ ახდენდა გავლენას აღიარებულ გუდვილზე.

როდესაც ჯგუფმა შეიძინა საწარმო, მიმღების მიერ თავდაპირველი კონტრაქტიდან განცალკევებული ჩართული წარმოებული ინსტრუმენტები არ შეფასებულა შესყიდვისას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შედეგად შეიცვალა საკონტრაქტო პირობები, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ფულად ნაკადებზე, რაც სხვა შემთხვევაში მოთხოვნილი იქნებოდა კონტრაქტის ფარგლებში.

პირობითი საფასური აღიარებულ იქნა მხოლოდ მაშინ, როდესაც ჯგუფს გააჩნდა მიმდინარე ვალდებულება, მოსალოდნელი იყო ეკონომიკური სარგებლის გადინება და შესაძლებელი იყო აღნიშნულის სანდოდ განსაზღვრა. პირობითი საფასურის შემდგომი კორექტირება გავლენას ახდენს გუდვილზე.

*გუდვილი*

ბიზნესის გაერთიანებისას წარმოშობილი გუდვილი წარმოადგენს ჯგუფის შვილობილ კომპანიაში ამოცნობადი აქტივების, ვალდებულებების და პირობითი ვალდებულებების წმინდა სამართლიანი ღირებულების წილსა და ბიზნესის გაერთიანებასთან დაკავირებულ ხარჯს შორის სხვაობას შესყიდვის თარიღისათვის. შვილობილი კომპანიის შესყიდვასთან დაკავშირებული გუდვილი ჩართულია არამატერიალურ აქტივებში. მეკავშირე საწარმოების შესყიდვასთან დაკავშირებული გუდვილი ჩართულია ინვესტიციებში მეკავშირე საწარმოებში. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, გუდვილი აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება ნებისმიერი დარიცხული გაუფასურების ზარალი.

გაუფასურებასთან მიმართებაში გუდვილის გადახედვა ხდება ყოველწლიურად ან უფრო ხშირად, თუ მოვლენები და გარემოებები მიუთითებენ საბალანსო ღირებულების გაუფასურებაზე.

გაუფასურების შემოწმების მიზნებისათვის, ბიზნესის გაერთიანებისას დარიცხული გუდვილი შესყიდვის თარიღიდან გადანაწილდება ჯგუფის ფულადი ნაკადების მომტან ბიზნეს ერთეულებზე, ან ფულადი ნაკადების მომტან ბიზნეს ერთეულთა ჯგუფებზე, რომლებიც სავარაუდოდ ისარგებლებენ გაერთიანებით, იმისდა მიუხედავად, განეკუთვნება თუ არა ჯგუფის სხვა აქტივები და ვალდებულებები აღნიშნულ ბიზნეს ერთეულებს თუ ბიზნეს ერთეულთა ჯგუფებს. ამგვარი დანაყოფები, რომელთაც ერიცხებათ გუდვილი:

- წარმოადგენენ ჯგუფის ქვედა დონეს, სადაც გუდვილის მონიტორინგი ხდება ხელმძღვანელობის შიდა მიზნებისათვის, და
- არ არიან საოპერაციო სეგმენტზე მსხვილი, როგორც ეს განსაზღვრულია ფასს 8-ის "საოპერაციო სეგმენტები" შესაბამისად, მათ აგრეგირებამდე.

*(თანხები ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული)*

## 3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### კონსოლიდაციის საფუძველი (გაგრძელება)

*გუდვილი (გაგრძელება)*

გაუფასურება განისაზღვრება იმ ფულადი ნაკადების მომტანი ბიზნეს ერთეულის (ერთეულთა ჯგუფის) აღდგენადი თანხის შეფასებით, რომელსაც განეკუთვნება გუდვილი. იმ შემთხვევაში, როდესაც აღდგენადი თანხა ნაკლებია საბალანსო ღირებულებაზე, ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება.აღრიცხული გუდვილის გაუფასურების ზარალის შებრუნება არ ხდება მომავალ პერიოდებში.

### პროდუქციის კლასიფიკაცია

*სადაზღვევო ხელშეკრულებები*

სადაზღვევო ხელშეკრულებები განსაზღვრულია, როგორც ხელშეკრულებები, რომლებიც მოიცავენ მნიშვნელოვან სადაზღვევო რისკს ხელშეკრულების ამოქმედების მომენტიდან, ან ხელშეკრულებები, რომელთათვისაც ამოქმედების მომენტში არსებობს გეგმა კომერციული შინაარსით, რომლის მიხედვითაც სადაზღვევო რისკი შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს. სადაზღვევო რისკის მნიშვნელობა დამოკიდებულია დაზღვეული შემთხვევის დადგომის ალბათობაზე და მისი პოტენციური შედეგის მოცულობაზე.

საინვესტიციო ხელშეკრულებები მნიშვნელოვანი ფინანსური რისკის მატარებელი ხელშეკრულებებია. ფინანსური რისკი ერთი ან რამდენიმე ისეთი მაჩვენებლის ცვლილების რისკია, როგორებიცაა: განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთი, ფინანსური ინსტრუმენტის ფასი, სასაქონლო ღირებულება, სავალუტო გაცვლითი კურსი, განაკვეთების ან ფასის ინდექსი, საკრედიტო რეიტინგი ან საკრედიტო ინდექსი თუ სხვა ცვლადები. არაფინანსური ცვლადის შემთხვევაში, ეს უკანასკნელი არ უნდა იყოს დამახასიათებელი კონტრაქტის მხარისათვის.

მას შემდეგ, რაც ხელშეკრულება კლასიფიცირებულია, როგორც სადაზღვევო ხელშეკრულება, ის განიხილება სადაზღვევო ხელშეკრულებად მისი დარჩენილი მოქმედების პერიოდის განმავლობაში, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამ პერიოდში სადაზღვევო რისკი მნიშვნელოვნად შემცირდება. თუმცა, საინვესტიციო კონტრაქტების რეკლასიფიკაცია სადაზღვევო კონტრაქტებად შესაძლებელია, თუ სადაზღვევო რისკი არსებითი გახდება.

### ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ხელზე არსებული ნაღდი ფულის, მიმდინარე ანგარიშებისა და საკრედიტო დაწესებულებებისაგან მისაღები თანხებისგან, რომელთა განაღდების ვადა სამ თვეს არ აღემატება და თავისუფალნი არიან საკონტრაქტო ვალდებულებებისაგან.

### დაზღვევისა და გადაზღვევის მოთხოვნები

დაზღვევისა და გადაზღვევის მოთხოვნების აღიარება ხდება სადაზღვევო პოლისის პირობებზე დაყრდნობით და განისაზღვრება თვითღირებულებით. სადაზღვევო მოთხოვნების საბალანსო ღირებულების გაუფასურებასთან მიმართებაში გადახედვა ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები და გარემოებები მიანიშნებენ, რომ შესაძლოა ვერ მოხერხდეს საბალანსო ღირებულების აღდგენა. გაუფასურების ზარალი აღირიცხება კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშში.

*(თანხები ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული)*

## 3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### დაზღვევისა და გადაზღვევის მოთხოვნები (გაგრძელება)

გადაზღვევის მოთხოვნები მოიცავს გადაცემული სადაზღვევო ვალდებულებებისათვის სადაზღვევო და გადამზღვევი კომპანიებისგან მისაღებ ნაშთებს. ნაკისრი გადაზღვევის პრემიების აღიარება ხდება იმავე წესით, როგორც პირდაპირი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლისა, გადაზღვეული საქმიანობის პროდუქტის კლასიფიკაციის მხედველობაში მიღებით. გადამზღვევებისათვის გადასახდელი თანხების შეფასება ხდება გადაზღვეული პოლისებისა და გადაზღვევის კონტრაქტის მიხედვით. გადაცემული პრემიები და გადახდილი მოთხოვნები წარმოდგენილია საერთო თანხით.

გაუფასურების ანალიზი ხორციელდება ყველა გადაზღვეულ აქტივზე, როდესაც ჩნდება გაუფასურების საშიშროება. გადაზღვევის მოთხოვნების გაუფასურება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მტკიცებულება, რომ ჯგუფმა შეიძლება ვერ მიიღოს მისთვის გადასახდელი ყველა თანხა კონტრაქტის პირობების შესაბამისად და ამის შეფასება სანდოდ შეიძლება.

### ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები ბუღალტრული აღრიცხვის 39-ე საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად კლასიფიცირდებასამართლიანი ღირებულების მქონე ფინანსურ აქტივებად მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით, სესხებად და მოთხოვნებად, ვადიან ინვესტიციებად, ან გასაყიდად არსებულ ფინანსურ აქტივებად. თავდაპირველად, ფინანსური აქტივები აღირიცხება საბაზრო ღირებულებით, ამასთან, ისეთ შემთხვევაში, თუ ინვესტირება მოხდა არასაბაზრო ღირებულებით მოგების ან ზარალის გავლით, მათ სამართლიან ღირებულებას ემატება უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯები. ჯგუფი განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარების დროს.

კლასიფიკაცია დამოკიდებულია ინვესტიციის შეძენის ან წარმოქმნის მიზანზე. საერთოდ, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით მოგების ან ზარალის გავლით, რადგან ჯგუფის სტრატეგიას წარმოადგენს მართოს ფინანსური აქტივები, რომლებიც შეიძინა მისი სადაზღვევო და საინვესტიციო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების დასაფარად (მათ შორის აქციონერთა ფონდები), იმავე საფუძველზე, სამართლიანი ღირებულებით. გასაყიდად არსებული და ვადამდე ფლობილი კატეგორიები გამოიყენება მაშინ, როდესაც შესაბამისი ვალდებულება (მათ შორის აქციონერთა ფონდები) იმართება პასიურად და/ან აისახება ამორტიზებული ღირებულებით.

როგორც წესი, ფინანსური აქტივების გაყიდვებისა და შესყიდვების აღიარება ხდება სავაჭრო ოპერაციის დღეს, ანუ იმ თარიღით, როდესაც ჯგუფი შეისყიდის აქტივს. ფინანსური აქტივების შესყიდვები და გაყიდვები ისეთი ოპერაციებია, რომლებიც მოითხოვენ აქტივის მიტანას დანიშნულების პუნქტამდე კანონმდებლობით განსაზღვრულ ან ბაზარზე დადგენილ პერიოდში.

*სესხები და მოთხოვნები*

სესხები და მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომელთაც გააჩნიათ ფიქსირებული თუ განსაზღვრადი გადასახადი და რომელთა კოტირება არ ხდება ბაზარზე. ასეთი აქტივები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. გარიგებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი შედის ინვესტიციის ღირებულებაში. მოგებისა და ზარალის აღიარება კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხდება სესხისა და მოთხოვნის ჩამოწერის ან გაუფასურების, აგრეთვე ცვეთის პროცესში.

*(თანხები ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული)*

## 3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

*გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები*

გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს, რომლებიც განსაზღვრულია გასაყიდად არსებულად ან არ არის კლასიფიცირებული ზემოაღნიშნულ სამ კატეგორიაში. თავდაპირველად, ისინი აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით; თავდაპირველი აღიარების შემდგომ, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივების გადაფასება ხდება სამართლიანი ღირებულებით, ცალკეულ კომპონენტად ასახვით სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, ინვესტიციის ჩამოწერამდე თუ გაუფასურებამდე, როდესაც კაპიტალში აღრიცხული ჯამური მოგება თუ ზარალი აღირიცხება კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. თუმცა, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გაანგარიშებული საპროცენტო შემოსავლის აღიარება ხდება კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

### სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

ფინანსურ ბაზარზე კოტირებული ინვესტიციების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება ამ კოტირების საბაზრო ფასით საანგარიშგებო თარიღისათვის. ინვესტიციებისათვის, რომლებიც არ კოტირდება ბაზარზე, სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება შეფასების მეთოდის გამოყენებით. ამგვარი მეთოდი გულისხმობს სამართლიანი პირობებით წარმოებული საბაზრო გარიგებების შესახებ ინფორმაციის გამოყენებას, მსგავსი ინსტრუმენტის მიმდინარე საბაზრო ღირებულების განსაზღვრას და დისკონტირებული ფულადი ნაკადების ანალიზს.

თუ ვერ ხერხდება ინვესტიციის რეალური ღირებულების სამართლიანად განსაზღვრა, ამგვარი ფინანსური ინსტრუმენტი აღირიცხება თვითღირებულებით, რომელიც წარმოადგენს ინვესტიციის შესაძენად გადახდილიან ფინანსური ვალდებულების გაცემისას მიღებული თანხის სამართლიან ღირებულებას. შეძენასთან დაკავშირებული ყველა საოპერაციო ხარჯი ასევე შედის ინვესტიციის ღირებულებაში.

### გაქვითვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გაქვითვა და მათი წმინდა თანხით ასახვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ხდება მაშინ, როდესაც არსებობს თანხების გაქვითვის იურიდიული უფლება და მათი წმინდა სახით დაფარვის განზრახვა, ან განზრახვა მოხდეს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების მყისიერი დაფარვა. შემოსავალი და ხარჯი არ გაიქვითება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ეს არ არის მოთხოვნილი ან ნებადართული რომელიმე საბუღალტრო სტანდარტით ან ინტერპრეტაციით, რომელიც სპეციალურად წარმოდგენილია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

### სადაზღვევო ვალდებულებები

*სიცოცხლის დაზღვევის ვალდებულებები*

სიცოცხლის დაზღვევის რეზერვი გამოითვლება განსაზღვრული აქტუარული შეფასების მეთოდის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც გამოყენებული ვარაუდები ეყრდნობა თითოეული ოპერაციის დროს არსებულ გარემოებებს.

*(თანხები ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული)*

## 3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### სადაზღვევო ვალდებულებები(გაგრძელება)

*ზოგადი სადაზღვევო ვალდებულებები*

ზოგადისადაზღვევო ვალდებულებები მოიცავს დასაფარი მოთხოვნების რეზერვს, გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვს და პრემიის დეფიციტის რეზერვს. ზოგადი საკონტრაქტო ვალდებულებები ეფუძნება ყველა იმ მოთხოვნის განსაზღვრულ საბოლოო ღირებულებას, რომლებიც წარმოშობილ იქნა, მაგრამ არ იქნა დაკმაყოფილებული საანგარიშგებო თარიღისათვის, იმისდა მიუხედავად, მოხდა თუ არა მათი გაცხადება. ამას ემატება მოთხოვნათა დაკმაყოფილების ხარჯები და მოსალოდნელი კომპენსირებადი თანხების შემცირება. ვალდებულება აღირიცხება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებულ მონაცემებსა და მიმდინარე დაშვებებზე დაყრდნობით. ვალდებულება არ დისკონტირდება ფულის დროით ღირებულებასთანმიმართებაში. არ ხდება კატასტროფული შემთხვევების რეზერვის აღიარება. ვალდებულების ჩამოწერა ხდება მისი დაფარვის მოთხოვნის ვადის გაცვლის, შეწყვეტის ან გაუქმებისას.

რეზერვის აღიარება ხდება ხელშეკრულების ძალაში შესვლისას და პრემიის დარიცხვისას და აღირიცხება, როგორც შემოსავალი პრემიიდან ხელშეკრულების პერიოდში, ხელშეკრულების სადაზღვევო სქემის შესაბამისად. ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ჯგუფი განიხილავს მის მიმდინარე რისკს და ვალდებულების ადეკვატურობის ტესტით განსაზღვრავს მოსალოდნელი მოთხოვნების და გადავადებული შესყიდვის ხარჯების მეტობას გამოუმუშავებელ პრემიასთან მიმართებაში. აღნიშნული გაანგარიშებისას გამოიყენება სამომავლო საკონტრაქტო ფულადი ნაკადების მიმდინარე დაშვებები საინვესტიციო ბრუნვის გათვალისწინებით, რაც მოსალოდნელია წარმოიშვას შესაბამისი არასიცოცხლის დაზღვევის ტექნიკური რეზერვის აქტივებთან მიმართებაში. თუ აღნიშნული დაშვებები ასახავს, რომ გამოუმუშავებელი პრემიის საბალანსო ღირებულება (მინუს დაკავშირებული გადავადებული აკვიზიციის ხარჯები) არაადეკვატურია, დეფიციტი აღირიცხება კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში პრემიის დეფიციტის რეზერვის შექმნის გზით.

### გადაზღვევის აქტივები

ჩვეულებრივი საქმიანობისას ჯგუფი გადასცემს დაზღვევის რისკს. გადაზღვევის აქტივები წარმოადგენს მოთხოვნებს გადამზღვევი კომპანიების მიმართ. გადაზღვევიდან მიღებული თანხები შეფასებულია იმგვარად, რომ შეესაბამებოდეს დასაფარი მოთხოვნების რეზერვს, ან გადამზღვევის პოლიტიკასთან ასოცირებულ დაფარულ მოთხოვნებს და შესაბამისობაშია დაკავშირებულ გადაზღვევის ხელშეკრულებებთან.

გაუფასურების ანალიზი ხორციელდება ყოველ საანგარიშგებო თარიღზე ან უფრო ხშირად, როდესაც გაუფასურების ინდიკატორი წარმოიქმნება საანგარიშგებო წლის მანძილზე. გაუფასურება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს მტკიცებულება იმასთან დაკავშირებით, რომ ჯგუფს არ შეუძლია მიიღოს აუნაზღაურებელი თანხები ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და როდესაც სანდოდ შეიძლება განისაზღვროს ჯგუფის ზემოქმედება გადამზღვევისგან მისაღებ თანხებზე. გაუფასურების ზარალი აღირიცხება კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

რისკის თითოეულ მიმდინარე რეზერვში გადამზღვევთა წილის აღიარება ხდება ანალოგიური პირობების გათვალისწინებით. გადაზღვევის აქტივების ჩამოწერა ხდება მაშინ, როდესაც ანულირებულია კონტრაქტით გათვალისწინებული უფლებები, იწურება კონტრაქტის ვადა ან კონტრაქტის გადაცემა ხდება სხვა მხარისათვის.

*(თანხები ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული)*

## 3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### *აკვიზიციის გადავადებული ხარჯები*

აკვიზიციის გადავადებული ხარჯები ("DAC") კაპიტალიზირდება და ამორტიზირდება წრფივი მეთოდით კონტრაქტის მოქმედების პერიოდის განმავლობაში. შესყიდვის ყველა სხვა ხარჯის აღიარება ხდება წარმოშობისთანავე.

### ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება საბალანსო ღირებულებით, აკუმულირებული ცვეთისა და აკუმულირებული გაუფასურების გამოკლებით. ამგვარი თანხა მოიცავს ძირითადი საშუალებების ჩანაცვლების ღირებულებას, როდესაც ხარჯი წარმოიშობა და თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია.

შენობა-ნაგებობები შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით გადაფასების თარიღის შემდეგ დარიცხული ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადახედვა გაუფასურებასთან მიმართებაში ხორციელდება, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების აღდგენა შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

საბალანსო ღირებულებით თავდაპირველი აღიარების შემდეგ, შენობა-ნაგებობები აისახება გადაფასებული ღირებულებით, რომელიც წარმოადგენს გადაფასების თარიღისათვის სამართლიან ღირებულებას შემდგომი აკუმულირებული ცვეთისა და შემდგომი აკუმულირებული გაუფასურების ზარალის გამოკლებით. შეფასებები ხორციელდება საკმარისად ხშირად იმისათვის, რომ გადაფასებული აქტივის სამართლიანი ღირებულება მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდეს მისი საბალანსო ღირებულებისგან.

გადაფასების ნებისმიერი მეტობა ემატებაკაპიტალში ჩართული ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის ახდენს იმ აქტივისგადაფასების კლების უკუქცევას, რომელიც უწინ აღიარებული იყო კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში; ამ შემთხვევაში, ზრდა აისახება კონსოლიდირებულიმოგება-ზარალის ანგარიშგებაში. გადაფასების დეფიციტის აღიარება ხდება კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დეფიციტი, რომელიც პირდაპირ აბათილებს იმავე აქტივის მეტობას, ბათილდება ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის მეტობით.

აქტივის გადაფასების რეზერვიდან გაუნაწილებელ მოგებაში წლიური გადარიცხვა ხორციელდება გადაფასებული საბალანსო ღირებულების საფუძველზე გამოთვლილ ცვეთასა და თავდაპირველ ღირებულებაზე დაყრდნობით გამოთვლილ ცვეთას შორის სხვაობისათვის. ამასთან, გადაფასების დღისთვის აკუმულირებული ცვეთა იქვითება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებასთან მიმართებაში და გადაფასებული აქტივი ხელახლა აისახება წმინდა ღირებულებით. გადაცემისას, კონკრეტულ გაყიდულ აქტივთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაფასების რეზერვი გადაიტანება გაუნაწილებელ მოგებაზე.

აქტივის ცვეთა ირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება მისი მომსახურებაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

| | წელი |
|---|---|
| შენობა-ნაგებობები | 50-100 |
| ავეჯი და მოწყობილობები | 10 |
| კომპიუტერები და საოფისე ტექნიკა | 5-10 |
| სატრანსპორტო საშუალებები | 5 |

*(თანხები ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული)*

## 3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

აქტივის ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობა და მეთოდები განიხილება და კორექტირდება საჭიროებისამებრ, ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისთანავე და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში, თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

ძირითადი საშუალების ჩამოწერა ხდება გაყიდვის შემდეგ ან, როდესაც მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენების ან გაყიდვის შედეგად. აქტივის ჩამოწერისას წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი (გამოთვლილი, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) შეტანილია იმ წლის კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც ხდება აქტივის ჩამოწერა.

დაუსრულებელი მშენებლობა გულისხმობს მშენებარე ძირითად საშუალებებთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს, რაც მოიცავს პირდაპირ დაკავშირებული ცვლადის სათანადო განაწილებას და მშენებლობისას წარმოშობილ ფიქსირებულ ზედნადებ ხარჯებს. აღნიშნული აქტივების ცვეთა, ისევე როგორც ანალოგიური აქტივებისა, ირიცხება აქტივის მომსახურებაში გაშვებისას.

საიჯარო გაუმჯობესებების ამორტიზაცია ხდება დაკავშირებული საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის პროცესში. აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობა განიხილება და კორექტირდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

### სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები ფასდება საბალანსო ღირებულებასა და რეალიზაციის წმინდა შესაძლო ფასს შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილის საფუძველზე და შეიცავს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენისას და მათ არსებულ მდგომარეობასა და პირობებში მოყვანისას წარმოქმნილ დანახარჯებს. მზა ნაწარმისა და მიმდინარე სამუშაოს ღირებულება მოიცავს საწარმოო ზედნადები ხარჯების შესაბამის წილს, სტანდარტულ საექსპლუატაციო შესაძლებლობებზე დაყრდნობით, სასესხო სახსრების გამოკლებით.

რეალიზაციის წმინდა შესაძლო ფასი წარმოადგენს საქმიანობის ჩვეული მიმდინარეობისას სავარაუდო გასაყიდ ფასს, დასრულების სავარაუდო ხარჯებისა და გაყიდვისთვის საჭირო სავარუდო ხარჯების გამოკლებით. მოძველებული ან მწყობრიდან გამოსული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებისთვის რეზერვის შექმნა არ ხდება.

### ვალდებულებები პენსიიდან და თანამშრომელთა სხვა გასამრჯელოდან

საქართველოს სახელმწიფო საპენსიო სისტემა მოითხოვს მიმდინარე შენატანებს ჯამური ხელფასიდან დამქირავებლის მხრიდან. მსგავსი ხარჯის დარიცხვა ხდება შესაბამისი ხელფასის მიღებისას.

*(თანხები ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული)*

## 3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### საპენსიო ვალდებულებები

ჯგუფი ხელმძღვანელობასა და თანამშრომლებს, ასევე, მისი მშობელი კომპანიის, ს.ს. საქართველოს ბანკის ხელმძღვანელობასა და თანამშრომლებს, სთავაზობს კერძო საპენსიო სქემას. აღნიშნული წარმოადგენს განსაზღვრული შენატანის მქონე საპენსიო სქემას, რომელიც ეხება თითქმის ყველა სრულ განაკვეთზე დაქირავებულ თანამშრომელს. ჯგუფი შენატანებს იღებს მისი თანამშრომლებისაგან, ისევე, როგორც ს.ს. საქართველოს ბანკის თანამშრომლებისაგან. როდესაც თანამშრომელი მიაღწევს საპენსიო ასაკს, დაგროვილი შენატანები, ნებისმიერი დამატებითი თანხის ჩათვლით, გადახდილ უნდა იქნას თანამშრომლისათვის მასთან შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით. დაგროვილი თანხა ნაწილდება სათანადო პერიოდზე, რომლის განმავლობაშიც თანამშრომელი მიიღებს დაგროვილ დახმარებას.

ჯგუფი ფლობს საპენსიო ფონდისთვის საჭირო ლიცენზიას, რომლითაც ის უფლებამოსილია მიიღოს საპენსიო შენატანები საქართველოს მოსახლეობისგან და აიღოს მათი შემდგომი გადახდის ვალდებულება სარგებლის ჩათვლით.

### ნასესხები სახსრები

გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტები ან მათი კომპონენტები კლასიფიცირდება, როგორც ვალდებულებები, როდესაც საკონტრაქტო გარიგებების შედეგად ჯგუფს წარმოეშობა ფულადი ან სხვაგვარი ვალდებულება მფლობელის წინაშე, ან როდესაც ჯგუფი აწარმოებს გაცვლით ოპერაციებს საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტებით. აღნიშნული თავდაპირველად აღიარებულია მიღებული საფასურის სამართლიანი ღირებულებით მინუს პირდაპირ დაკავშირებული გარიგების ხარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, სესხების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხდება ვალდებულების ჩამოწერისას, აგრეთვე ცვეთის პროცესში.

თუ ჯგუფი შეისყიდის საკუთარ სესხს, ის ამოღებულ იქნება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან, ხოლო სხვაობა ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საფასურს შორის ამ შემთხვევაში აღიარებულ იქნება კონსოლიდირებულიმოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

### იჯარა

#### *ფინანსური იჯარა – ჯგუფი, როგორც მოიჯარე*

ჯგუფი აღიარებს ფინანსურ იჯარას, როგორც აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, საიჯარო ვადის დაწყებისას, იჯარით აღებული ქონების სამართლიანი ღირებულების ტოლი თანხით, ან მინიმალური საიჯარო გადასახადების მიმდინარე ღირებულებით, თუ ეს თანხა დაბალია. მინიმალური საიჯარო გადასახადების მიმდინარე ღირებულების გამოთვლისას, დისკონტირების ფაქტორად გამოიყენება იჯარაში გათვალისწინებული საპროცენტო განაკვეთი, თუ შესაძლებელია მისი განსაზღვრა; სხვა შემთხვევაში, გამოიყენება ჯგუფის შეფარდებითი საპროცენტო განაკვეთი. თავდაპირველი პირდაპირი ხარჯები ჩართულია, როგორც აქტივის ნაწილი. საიჯარო გადასახადები ნაწილდება ფინანსურ ხარჯსა და გადაუხდელი ვალდებულების შემცირებას შორის. ფინანსური ხარჯი გადანაწილდება საიჯარო ვადის პერიოდებზე იმგვარად, რომ თითოეული პერიოდისათვის წარმოიქმნას მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების ნაშთზე.

*(თანხები ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული)*

## 3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### იჯარა (გაგრძელება)

ხარჯები, რომლებიც განსაზღვრულია, როგორც მოიჯარის მიერ ფინანსური იჯარისათვის განხორციელებულ საქმიანობასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯები, შეტანილია, როგორც იჯარით აღებულ აქტივად აღიარებული თანხის ნაწილი.

### ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი

ჯგუფი საბალანსო ანგარიშგების შედგენის თარიღით ახდენს ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურების რეზერვის შეფასებას.

თუ არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ამორტიზირებული ღირებულებით ასახული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული იქნება ზარალი, ზარალის მოცულობა აისახება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე მოცულობას შორის (სამომავლო საკრედიტო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ადგილი არ ჰქონია) რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ე.ი. იმ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გაანგარიშებულია თავდაპირველად აღიარებისას). აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება შესაძლებელია რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. ზარალის აღიარება უნდა მოხდეს მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

*ამორტიზებული ღირებულებით ასახული აქტივები*

უზრუნველყოფისათვის გამოყენებული ფინანსური აქტივის მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება ასახავს იმ ფულად ნაკადებს, რომლებიც შესაძლოა მიღებული იყოს უზრუნველყოფის გამოყენებით, უზრუნველყოფის მოპოვებასა და მის შემდგომ რეალიზაციაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით, განურჩევლად იმისა, მოსალოდნელია თუ არა უზრუნველყოფის გამოყენება.

თავდაპირველად ჯგუფი აფასებს არსებობს თუ არა თითოეული დიდი მოცულობის მქონე აქტივის გაუფასურების ობიექტური საფუძველი და მცირე მოცულობის აქტივების ცალ-ცალკე ან ერთობლივად გაუფასურების საფუძველი. თუ დადგინდა, რომ არ არსებობს გაუფასურების ობიექტური საფუძველი, აქტივის ჩართვა ხდება ფინანსური აქტივების იმ ჯგუფში, რომელთაც გააჩნიათ ანალოგიური საკრედიტო რისკები და ამ ფინანსური აქტივების ჯგუფის შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება ერთობლივად. აქტივები, რომელთა შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება ინდივიდუალურად და რომელთათვისაც ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება, არ არიან ჩართული აქტივების გაუფასურების კოლექტიური შეფასების პროცესში.

თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა მცირდება და შემცირება შესაძლოა ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების აღრიცხვის შემდგომ მოვლენას, ხდება წინასწარ აღიარებული გაუფასურების ზარალის შებრუნება. გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემდგომი შებრუნება აისახება კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, იმ პირობით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება მის ამორტიზებულ ღირებულებას შებრუნების დღეს.

როდესაც სესხი ჩაითვლება უიმედოდ, ხდება მისი ჩამოწერა სესხის გაუფასურების შესაბამისი რეზერვიდან. ამგვარი სესხების ჩამოწერა ხდება მას შემდეგ, რაც დასრულდება ყველა სავალდებულო პროცედურა და მოხდება ზარალის თანხის განსაზღვრა. ამ თანხების შემდგომი აღდგენა ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების დანარიცხს კონსოლიდირებულიმოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

*(თანხები ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული)*

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

**ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი (გაგრძელება)**

*გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები*

როდესაც ხდება გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივების გაუფასურება, თანხა, რომელიც მოიცავს სხვაობას აქტივის ღირებულებასა (ყველა შემდგომი წმინდა დაფარვის და ამორტიზაციის გამოკლებით) და მის მიმდინარე სამართლიან ღირებულებას შორის მინუს ნებისმიერი გაუფასურების ზარალი, რომელიც წინა პერიოდში აისახა კონსოლიდირებულიმოგება-ზარალის ანგარიშგებაში, გადაიტანება კაპიტალიდან კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე. შებრუნება კაპიტალის ინსტრუმენტებთან მიმართებაში, რომლებიც კლასიფიცირებულია როგორც გასაყიდად არსებული, არ არის აღრიცხული კონსოლიდირებულიმოგება-ზარალის ანგარიშგებაში. გაუფასურების ზარალის შებრუნება სესხის სახით არსებულ ინსტრუმენტებზე ხდება კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით, თუ ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების მატება შესაძლოა დაუკავშირდეს თავდაპირველი გაუფასურების ზარალის კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ასახვის შემდგომ მოვლენას.

*ფინანსური აქტივები*

ფინანსური აქტივის (ან, რიგ შემთხვევაში, ფინანსური აქტივის ნაწილის ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება, თუ:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების ვადა;
- ჯგუფმა გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე მესამე პირებისთვის გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- ჯგუფის მიერ (ა) გადაცემულ იქნა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, ან(ბ) გადაცემულ იქნა ამ აქტივზე კონტროლი.

იმ შემთხვევაში, როდესაც ჯგუფის მიერ გადაცემულ იქნა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ მომხდარა რისკებისა და სარგებლის, თუ აქტივზე კონტროლის გადაცემა, აქტივის აღიარება ხდება იმ ხარისხით და ოდენობით, რა ხარისხით და ოდენობითაც ჯგუფი აგრძელებს ამ აქტივის უწყვეტ გამოყენებას. ამგვარი გამოყენება, რომელსაც გააჩნია გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით, რომლის გადახდაც შესაძლოა დასჭირდეს ჯგუფს.

**ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩამოწერა**

*ფინანსური ვალდებულებები*

ფინანსური ვალდებულებების ჩამოწერა ხდება, როდესაც ვალდებულებები ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე ვალდებულებაში იმავე კრედიტორთან, თუმცა სხვა პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია გულისხმობს საწყისი ვალდებულების ჩამოწერას და ახალი ვალდებულების ასახვას, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულების სხვაობა აისახება კონსოლიდირებულიმოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

*(თანხები ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული)*

## 3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### საგადასახადო სისტემა

მოგების გადასახადის აქტივები და ვალდებულებები მიმდინარე და წინა პერიოდებისათვის განისაზღვრება იმ თანხით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისათვის. თანხის გამოსათვლელად გამოიყენება საანგარიშგებო თარიღისათვის მოქმედი საგადასახადო განაკვეთები და საგადასახადო კანონმდებლობა.

მიმდინარე მოგების გადასახადის გაანგარიშება ხდება საქართველოს და იმ ქალაქების საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, რომლებშიც ჯგუფს გააჩნია ოფისები და ფილიალები და სადაც მდებარეობს მისი შვილობილი კომპანიები.

გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების გაანგარიშება ხდება დროებით სხვაობებთან მიმართებაში ვალდებულებების მეთოდის გამოყენებით. გადავადებული მოგების გადასახადები გათვალისწინებულია ყველა დროებით სხვაობაზე, რომელიც წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო დასაბეგრ ბაზასა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გადავადებული მოგების გადასახადი დაკავშირებულია გუდვილთან და აქტივებისა და ვალდებულებების ისეთ აღიარებასთან, რომელიც არ არის ბიზნესის გაერთიანება და ოპერაციის თარიღისათვის გავლენას არ იქონიებს სააღრიცხვო მოგებასა თუ დასაბეგრ მოგება-ზარალზე.გადავადებული საგადასახადო აქტივი აისახება იმ პირობით, თუ არსებობს ალბათობა დასაბეგრი მოგებისა, რომლითაც შესაძლებელი იქნება დროებითი გამოქვითვადი სხვაობების დაფარვა. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები აღირიცხება საგადასახადო განაკვეთებით, რომელთა გამოყენებაც მოსალოდნელია აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულების დაფარვის პერიოდში საანგარიშგებო თარიღისათვის დადგენილ განაკვეთებზე დაყრდნობით.

შვილობილ კომპანიებში, მოკავშირე და ერთობლივ საწარმოებში ინვესტიციების შედეგად წარმოშობილ დროებით სხვაობებზე წარმოიშობა გადავადებული მოგების გადასახადი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დროებითი სხვაობის შებრუნების დროის გაკონტროლება შესაძლებელია და მოსალოდნელია, რომ დროებითი სხვაობის შებრუნებას ადგილი არ ექნება ახლო მომავალში.

პირდაპირ კაპიტალში აღიარებულ პუნქტებთან დაკავშირებული გადავადებული მოგების გადასახადის აღიარება ხდება კაპიტალში და არა კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები გაიქვითება, თუ არსებობს კანონიერი უფლება მიმდინარე საგადასახადო აქტივები გაიქვითოს მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულებებით და გადავადებული მოგების გადასახადები ეხება იმავე საგადასახადო ორგანოს.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომელიც გავლენას ახდენს ჯგუფის საქმიანობაზე. ეს გადასახადები ჩართულია სხვა საოპერაციო ხარჯებში.

*(თანხები ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული)*

## 3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს კომპიუტერულ პროგრამებსა და ლიცენზიებს.

ცალკეული არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თავდაპირველი აღიარებისას თვითღირებულებით. ბიზნესის გაერთიანებისას შეძენილი არამატერიალური აქტივების ღირებულება წარმოადგენს შეძენის დღეს არსებულ სამართლიან ღირებულებას. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, არამატერიალური აქტივები აისახება თვითღირებულებით, აკუმულირებული ამორტიზაციისა და აკუმულირებული გაუფასურების ზარალის გამოკლებით. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობა შეფასებულია განსაზღვრული თუ განუსაზღვრელი ვადით. ვადიანი არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის - 4-10 წლის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება ამგვარი საფუძვლის არსებობისას. ვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზების პერიოდიკისა და მეთოდების გადახედვა ხდება სულ მცირე ყოველი ფისკალური წლის ბოლოს.

განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზება არ ხდება, თუმცა ხდება მათი ყოველწლიურად შემოწმება გაუფასურებასთან მიმართებაში, ინდივიდუალურად ან ფულადი ნაკადების მომტანიბიზნეს ერთეულის დონეზე. არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის გადახედვა ხდება ყოველწლიურად, აქტივის მიმდინარე სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის სტატუსის დაზუსტების მიზნით.

პროგრამული უზრუნველყოფის შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება წარმოშობისას. პროგრამული უზრუნველყოფის განვითარების ხარჯები (დაკავშირებული ახალი, მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირებასა და დიზაინთან) აღიარებულია როგორც არამატერიალური აქტივი მხოლოდ მაშინ, როდესაც ჯგუფს გააჩნია ამ პროცესის ბოლომდე მიყვანის ზრახვა და უნარი იმ მოცულობით, რომ შესაძლებელი იყოს პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება თუ გაყიდვა, აგრეთვე აქტივს შეეძლოს სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოტანა განვითარების ხარჯების გათვალისწინებით. უნდა არსებობდეს რესურსები პროცესის ბოლომდე მიყვანისთვის და შესაძლებელი იყოს განვითარების ხარჯების სანდოდ შეფასება. პროგრამული უზრუნველყოფის განვითარების სხვა ხარჯების აღრიცხვა ხდება წარმოშობისთანავე.

### რეზერვები და პირობითი ვალდებულებები

რეზერვების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს გააჩნია წარსული მოვლენებით გამოწვეული იურიდიული ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მომტანი რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად და შესაძლებელია ვალდებულების მოცულობის სანდოდ განსაზღვრა.

როდესაც ჯგუფი ელის რეზერვების ანაზღაურებას, მაგალითად, სადაზღვევო ხელშეკრულების საფუძველზე, ანაზღაურების აღიარება ხდება, როგორც ცალკეული აქტივის, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ანაზღაურება უფრო მეტად მოსალოდნელია, ვიდრე არ ანაზღაურება.

*(თანხები ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული)*

## 3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### აქციებით წარმოებულ გადახდებზე დაფუძნებული გარიგებები

*კაპიტალით წარმოებულ ანგარიშსწორებაზე დაფუძნებული გარიგებები*

თანამშრომლებთან კაპიტალით წარმოებულ ანგარიშსწორებაზე დაფუძნებული გარიგებების ფასი აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით იმ თარიღით, როდესაც მოხდა მათი მიღება. სამართლიანი ღირებულება აღიარებულია, როგორც "ხელფასის ხარჯი" იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მოხდა შესაბამისი ვალდებულებების შერულება. ყოველ საბალანსო წელს ვალდებულება აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით და მოიცავს "ძალაში შესვლის თარიღს" ისევე როგორც ცვლილებებს სამართლიან ღირებულებაში, რომელიც თავის მხრივ ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, კერძოდ, "ხელფასის ხარჯში".

### პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებების აღიარება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ ხდება, მაგრამ ხდება მათი გაცხადება, თუ არ არსებობს ვალდებულებების დასაფარი რესურსების გადინების საფუძველი, რაც შეიძლება სანდოდ შეფასდეს. პირობითი აქტივების აღიარება არ ხდება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუმცა ხდება მათი გაცხადება, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება.

### სააქციო კაპიტალი

*სააქციო კაპიტალი*

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალი. გარე ხარჯები, პირდაპირ დაკავშირებული ახალი აქციების გამოშვებასთან საწარმოთა გაერთიანებისთვის გამოშვებული აქციების გარდა, აღრიცხულია როგორც გამოქვითვები კაპიტალის შემოსავლებიდან. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი სამართლიანი ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღირიცხება, როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

*დივიდენდები*

დივიდენდები აღიარებულია როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გაცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები განცხადებულია როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან განცხადებულია ანგარიშგების შედგენის შემდგომ პერიოდში, მაგრამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

*(თანხები ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული)*

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

*პრემიალური შემოსავალი*

სიცოცხლის დაზღვევის პრემიების აღიარება ხდება შემოსავალში, როდესაც ისინი გადასახდელია პოლისის მფლობელების მიერ, გარდა ინვესტიციებთან დაკავშირებული პრემიებისა, რომლებიც აღირიცხება მაშინ, როდესაც ხდება შესაბამისი ვალდებულებების აღიარება. ერთჯერადად გადასახდელი სადაზღვევო პრემიისათვის ეს არის დღე, როდესაც პოლისი ძალაში შედის. ჩვეულებრივი პრემიალური კონტრაქტებისათვის, დებიტორული დავალიანებები აღირიცხება გადასახადების გადახდის დღეს.

ყველა სადაზღვევო პრემიის აღიარება, სიცოცხლის დაზღვევის გარდა, ხდება პოლისის დადგენისას, ხოლო გამომუშავება – პროპორციულად, შესაბამისი პოლისის ძალაში ყოფნის პერიოდში.

საანგარიშგებო თარიღით გაწერილი, მაგრამ ჯერ მიუღებელი პრემიების შეფასებები ხორციელდება ანდერრაიტინგის შეფასებისას მიღებული შედეგების ან წარსული გამოცდილების საფუძველზე და მათი შეტანა ხდება გამომუშავებულ პრემიებში.

პრემიები ნაჩვენებია საკომისიოს გამოქვითვამდე და ნებისმიერი გაყიდვის გადასახადის ან მოსაკრებლების დარიცხვამდე. თუ პოლისი ძალას კარგავს პრემიების მიუღებლობის გამო, მაშინ ყველა დაკავშირებული დაგროვილი პრემიალური შემოსავალი, რომელიც არ არის მიღებული, გაიქვითება.

ზოგადი სადაზღვევო და ჯანმრთელობის დაზღვევის პრემიები ასახავენ წლის განმავლობაში დაწყებულ საქმიანობას და არ მოიცავენ გაყიდვის გადასახადებს ან მოსაკრებლებს. გამოუმუშავებელი პრემიები არის წლის განმავლობაში გაწერილი პრემიების ის ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია საანგარიშგებო თარიღის შემდეგ არსებულ რისკის პერიოდებთან. გამოუმუშავებელი პრემიები ძირითადად გამოითვლება ყოველდღიური ან ყოველთვიური სიხშირით პროპორციულად. შუამავლების მიერ ამოღებული, მაგრამ ჯერ კიდევ მიუღებელი პრემიები ფასდება ანდერრაიტინგიდან მიღებული შედეგების ან წარსული გამოცდილების საფუძველზე და შეიტანება გაწერილ პრემიებში.

*გაცემული პრემიები*

გადაზღვევასთან დაკავშირებით გადასახდელი პრემიების აღიარება ხდება იმ პერიოდში, რომელშიც გაფორმებულია გადაზღვევის ხელშეკრულება და მოიცავს შეფასებებს, თუ თანხები არ არის განსაზღვრული საანგარიშგებო თარიღით. პრემიები გაიცემა გადაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში და გამოითვლება პროპორციულად ყოველდღიური სიხშირით.

*გამოუმუშავებელი პრემიების რეზერვი*

გამოწერილი პრემიების წილი, რომელიც შემდგომ პერიოდებს განეკუთვნება, გადავადებულია, როგორც გამოუმუშავებელი პრემია. გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის ცვლილება ასახულია კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმგვარად, რომ ამონაგები აღიარებულია რისკის პერიოდში,ან მოსალოდნელი სამომავლო სარგებლის პროპორციულად.

*(თანხები ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული)*

## 3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### შემოსავლისა და ხარჯის აღიარება (გაგრძელება)

*შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიოდან*

სადაზღვევო ხელშეკრულების პოლისის მფლობელები იხდიან პოლისის ადმინისტრირების, საინვესტიციო მართვისა და პოლისის გაუქმების საფასურს. ამგვარი გადასახადი აღიარებულია როგორც შემოსავალი იმ პერიოდში, რომელშიც ის მიღებულია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს საფასური დაკავშირებულია მომავალ პერიოდში გასაწევ მომსახურებასთან. თუ გადასახადი დაკავშირებულია მომავალ პერიოდში გასაწევ მომსახურებასთან, ის გადავადდება და აღიარდებასრული შემოსავლის ანგარიშგებაში მაშინ, როდესაც მომსახურება შესრულდება, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში. ინიცირების და სხვა საწყისი ერთჯერადი ხარჯები ასევე გადავადებულია და აღიარებულია კონტრაქტის მოქმედების პერიოდში.

*გაწეული სამედიცინო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი*

სამედიცინო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი აღიარებულია იმ საფუძველზე, რომ ჯგუფში სავარაუდოდ შემოედინება ეკონომიკური სარგებელი და შემოსავალი შესაძლებელია საიმედოდ შეფასდეს დარიცხვის მოცულობის საფუძველზე. მომსახურების გაწევა განსხვავებული საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ, შემოსავალი ფასდება მიღებული საქონლის ან მომსახურების სამართლიანი ღირებულებით, და რეგულირდება ნებისმიერი გადმორიცხული ფულის ან ფულის ეკვივალენტების მოცულობით. როდესაც მიღებული საქონლის ან მომსახურების სამართლიანი ღირებულება ვერ ფასდება საიმედოდ, შემოსავალი იზომება გაცემული საქონლისა ან მომსახურების სამართლიანი ღირებულებით, და რეგულირდება ნებისმიერი გადმორიცხული ფულის ან ფულის ეკვივალენტების მოცულობით.

*კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული რეალიზებული მოგება და ზარალი*

რეალიზებული მოგება და ზარალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან და გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივებიდან გამოიანგარიშება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ წმინდა თანხებსა და თავდაპირველ ან ამორტიზირებულ ღირებულებას შორის. რეალიზებული მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც გაყიდვის ტრანზაქცია ხორციელდება.

### სარგებელი და ზარალები

სიცოცხლის დაზღვევასთან დაკავშირებული ზარალები ასახავს წლის მანძილზე წარმოქმნილი ყველა ზარალის ღირებულებას, მათ შორის ზარალის დარეგულირების ხარჯებს. გარდაცვალებასთან დაკავშირებული ზარალები და პოლისის გაუქმება აღირიცხება მიღებული შეტყობინებების საფუძველზე. მთლიანი და ანუიტეტის გადახდები აღირიცხება გადახდის ვადების შესაბამისად. აღრიცხული სარგებელი შემდეგ დაირიცხება ვალდებულებაზე.

წარმოშობილი ზოგადი სადაზღვევო მოთხოვნები მოიცავს წლის განმავლობაში წარმოქმნილ ყველა ზარალს, იმისდა მიუხედავად, გაცხადებულია ისინი თუ არა, ადმინისტრირების ხარჯების, ღირებულების შემცირების, სხვა დაკავშირებული ხარჯებისა და წინა წლების დაურეგულირებელი მოთხოვნების კორექტირების ჩათვლით.

მოთხოვნების ადმინისტრირების ხარჯები მოიცავს შიდა და გარე დანახარჯებს, რომლებიც უკავშირდება მოთხოვნების შესახებ მოლაპარაკებებსა და მათ დარეგულირებას. შიდა ხარჯები მოიცავს მოთხოვნების განყოფილებასთან უშუალოდ დაკავშირებულ ხარჯებს და ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილს, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება მოთხოვნებს.

*(თანხები ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული)*

## 3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციონალურ და წარმომადგენლობით ვალუტას. ჯგუფის თითოეული ორგანიზაცია თავად განსაზღვრავს თავის ფუნქციონალურ ვალუტას და თითოეული ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაში შეტანილი პუნქტები განისაზღვრება ამ ფუნქციონალური ვალუტის გამოყენებით, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) სავალუტო გაცვლითი კურსით საანგარიშგებო თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გადაფასებით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია კონსოლიდირებულიმოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი (საკურსო სხვაობა), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოგების ან ზარალის აღიარება ხდება პირდაპირ კაპიტალში ვალუტის გადაცვლის კომპონენტის გამოკლებით. არამონეტარული მუხლები, რომლებიც ისტორიული ღირებულების თვალსაზრისით აღიარებულია უცხოურ ვალუტაში, გადაიყვანება თავდაპირველი ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლითი კურსის გამოყენებით. სამართლიანი ღირებულებით უცხოურ ვალუტაში განსაზღვრული არამონეტარული მუხლების კონვერტაცია ხდება სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღეს მოქმედი სავალუტი გაცვლითი კურსის გამოყენებით.

სხვაობები ოპერაციის საკონტრაქტო გაცვლით კურსსა და ოპერაციის დღეს არსებულ სებ-ის სავალუტო გაცვლით კურსს შორის ჩართულია ოპერაციებში, როგორც უცხოური ვალუტით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი. სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსები 2011 და 2010 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაბამისად შეადგენდა 1.6703 და 1.7728 ლარს 1 აშშ დოლართან მიმართებაში.

## 4. მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და დაშვებები

### შეფასებების, დაშვებების და მსჯელობის გამოყენება

ფინანსური ანგარიშგების შედგენა მოითხოვს შეფასებების, დაშვებების და მსჯელობის გამოყენებას. აღნიშნული შეფასებები და დაშვებები გავლენას ახდენენ აქტივებისა და ვალდებულებების, აგრეთვე პირობითი ვალდებულებების გაცხადებულ თანხებზე საანგარიშგებო თარიღისათვის, ასევე წლის გაცხადებულ შემოსავალსა და ხარჯზე.მიუხედავად იმისა, რომ დაშვებები ეფუძნება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული ფაქტების ხელმძღვანელობის მიერ ცოდნასა და განსჯას,ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული დაშვებებისგან.

### შეფასების განუსაზღვრელობა

შეფასების განუსაზღვრელობის სამომავლო და ძირითად წყაროებთან დაკავშირებული ძირითადი დაშვებები საანგარიშგებო თარიღისათვის, რომელთაც გააჩნიათ იმის მნიშვნელოვანი რისკი, რომ მომდევნო ფისკალურ წელს გამოიწვიონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო თანხების არსებითი კორექტირება, აღწერილია ქვემოთ:

*სადაზღვევო კონტრაქტით გამოწვეული ვალდებულება*

იმ ვალდებულების შეფასება, რომლებიც სიცოცხლის დაზღვევისა და ზოგად სადაზღვევო კონტრაქტშია გათვალისწინებული, წარმოადგენს ჯგუფის კრიტიკულ სააღრიცხვო დაშვებას. არსებობს განუსაზღვრელობის რამდენიმე წყარო, რომელთა განხილვაც უნდა მოხდეს მოთხოვნებთან დაკავშირებული ვალდებულებების შეფასებისას.

*(თანხები ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული)*

## 4. მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

### შეფასების განუსაზღვრელობა (გაგრძელება)

*სადაზღვევო კონტრაქტით გამოწვეული ვალდებულება (გაგრძელება)*

*ა) სიცოცხლის დაზღვევის კონტრაქტები*

სიცოცხლის დაზღვევის კონტრაქტებისათვის არ არსებობს ზარალის ანაზღაურების ვალდებულება საანგარიშგებო თარიღისათვის, რადგან გაყიდული სიცოცხლის დაზღვევის პროდუქტი წარმოადგენს ყოველწლიურად განახლებად სადაზღვევო კონტრაქტს, რომელიც ბენეფიციარს უნაზღაურებს ფიქსირებულ თანხას მიმდინარე წლის განმავლობაში დაზღვეული პირის გარდაცვალების შემთხვევაში.

*ბ) ზოგადი სადაზღვევო კონტრაქტები*

ზოგადი სადაზღვევო კონტრაქტებისთვის უნდა ხდებოდეს როგორც საანგარიშგებო თარიღით გაცხადებული ზარალის რეზერვის მოსალოდნელი საბოლოო ღირებულების, ასევე საანგარიშგებო დღისთვის მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვის (IBNR) მოსალოდნელი საბოლოო ღირებულების შეფასება. მოთხოვნების საბოლოო ღირებულების დადგენას გარკვეული ტიპის პოლისებისათვისშეიძლება მნიშვნელოვანი დრო დასჭირდეს. მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვები ქმნიან ზარალების რეზერვის უმეტეს ნაწილს. ზოგადი სადაზღვევო ზარალის რეზერვი არ დისკონტირდება ფულის დროითი ღირებულების გათვალისწინებით.

*სადაზღვევო მოთხოვნების და გადაზღვევის აქტივების გაუფასურების რეზერვი*

ჯგუფი რეგულარულად განიხილავს სადაზღვევო მოთხოვნებსა და გადაზღვევის აქტივებს გაუფასურების შეფასების მიზნით. მიმდინარეობდა რეზერვების მეთოდოლოგიის სათანადოდ გამოყენება.

სააღრიცხვო მიზნებისათვის, ჯგუფი იყენებს წარმოშობილი ზარალის მოდელს გაუფასურებული ფინანსური აქტივებიდან წარმოშობილი ზარალის აღიარების მიზნით, რაც გულისხმობს იმას, რომ ზარალის აღიარება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს კონკრეტული ზარალის ფაქტის ობიექტური მტკიცების საფუძველი.გაუფასურების გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს მომხმარებლის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულე და/ან კონტრაქტის დარღვევა, მაგალითად,გადახდის დაგვიანება.

გაუფასურების რეზერვის თანხა მცირდება მოთხოვნის თანხით, რომელიც ფორმალურად აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებს, მაგრამ რომელთან დაკავშირებითაც ჯგუფს გააჩნია საფუძველი ჩათვალოს, რომ დავალიანების თანხა ანაზღაურდება.

მიმდინარე ანალიზი მხარს უჭერს ამ მიდგომას. ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ტენდენციები არ შეიცვლება მომავალში და ეს მიდგომა შეიძლება გამოყენებულ იქნას მისაღები მოთხოვნების შესაფასებლად საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

უიმედო თანხებისა და სპეციფიკური საკრედიტო რისკების ჩამოწერა ხდება პირდაპირ შემოსავალთან მიმართებაში. წარსულ გამოცდილებაზე დაფუძნებული გაუფასურების რეზერვები აუცილებელია პოლისის მფლობელებისა და აგენტების/ბროკერებისგან პირდაპირ დაზღვევაზე და გადაზღვევაზე მისაღებ თანხებთან დაკავშირებით.

*(თანხები ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული)*

## 4. მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

### შეფასების განუსაზღვრელობა (გაგრძელება)

*გუდვილის გაუფასურება*

ჯგუფი განიხილავს გუდვილის გაუფასურებას სულ მცირე ყოველწლიურად, რაც მოითხოვს იმ ფულადი ნაკადების მომტანი ერთეულების მიმდინარე ღირებულების განსაზღვრას, რომელთაც განეკუთვნება გუდვილი. გამოყენებითი ღირებულების შეფასება მოითხოვს, რომ ჯგუფმა შეაფასოს ფულადი ნაკადების მომტანი ერთეულიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დინამიკა და შეარჩიოს შესაბამისი დისკონტირების განაკვეთი, რათა განისაზღვროს ამგვარი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება.

## 5. საწარმოთა გაერთიანება

### შპს სადაზღვევო კომპანია "პარტნიორი"

2011 წლის 1 დეკემბერს სს "სადაზღვევო კომპანია ალდაგი ბისიაი"-მ შეიძინა საქართველოში მოქმედი სადაზღვევო კომპანია შპს სადაზღვევო კომპანია "პარტნიორის" 100% წილი.შეძენილი ამოცნობადი აქტივების, ვალდებულებების, პირობითი ვალდებულებებისა და წარმოშობილი გუდვილის სამართლიანი ღირებულებები შეძენის თარიღისათვის შემდეგია:

| | *შესყიდვისას აღიარებული სამართლიანი ღირებულება* |
|---|---|
| წმინდა მისაღები სადაზღვევო პრემიები | 2,981 |
| წმინდა გადაზღვევის აქტივები | 1,646 |
| ძირითადი საშუალებები | 541 |
| გადავადებული აკვიზიციის ხარჯები | 165 |
| სხვა აქტივები | 22 |
| | **5,355** |
| სადაზღვევო ვალდებულებები | 3,304 |
| სხვა სადაზღვევო ვალდებულებები | 2,268 |
| სხვა ვალდებულებები | 276 |
| | **5,848** |
| **სულ ამოცნობადი წმინდა ვალდებულებები** | **(493)** |
| წილი წმინდა შეძენილი აქტივების სამართლიან ღირებულებაში | (493) |
| შესყიდვისას წარმოშობილი გუდვილი | 493 |
| **გადახდილი საფასური** | – |

შეძენის თარიღის შემდეგ, ჯგუფმა აღრიცხა მოგება და შემოსავალი 295 ლარი და 164 ლარი, შესაბამისად. საწარმოთა გაერთიანება რომ მომხდარიყო წლის დასაწყისში, ჯგუფის წმინდა მოგებასა და შემოსავალში არ აისახებოდა მნიშვნელოვანი სხვაობა.

ის ძირითადი ფაქტორი, რომელმაც წვლილი შეიტანა საწარმოთა გაერთიანების ღირებულებაში და გამოიწვია გუდვილის აღიარება, იყო ჯგუფის საქმიანობაში შეტანილი პოზიტიური სინერგიის ეფექტები.

შვილობილი კომპანიის განკარგვის შემდეგ, გუდვილის საერთო ღირებულება იქნება გამოქვითვადი საგადასახადო მიზნებისათვის.

*(თანხები ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული)*

## 5. საწარმოთა გაერთიანება (გაგრძელება)

### ბლოკ ჯორჯია კომპანიების ჯგუფი

2011 წლის 29 ნოემბერს, სს ჩემი ოჯახის კლინიკამ შეისყიდა საქართველოში მოქმედი სამედიცინო მომსახურების პროვაიდერი კომპანიების ჯგუფი "ბლოკ ჯორჯია კომპანიების ჯგუფი"-ს 100% წილი. აღნიშნული ჯგუფის წევრი კომპანიები: სს "ზუგდიდის მრავალ-პროფილიანი კლინიკური საავადმყოფო "რესპუბლიკური", სს ქუთაისის რაიონული დედათა და ბავშვთა სამკურნალო და დიაგნოსტიკური ცენტრი", სს „ჩხოროწყუს რეგიონალური ცენტრალური საავადმყოფო", შპს „აკად. ზ. ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრი", შპს „წალენჯიხის ე.კ. ფიფიას სახელობის ცენტრალური საავადმყოფო", შპს „მარტვილის მრავალ-პროფილიანი საავადმყოფო", შპს „აბაშის ამბულატორიული-პოლიკლინიკა", შპს „წყალტუბოს რეგიონული საავადმყოფო" და შპს „ხობის ცენტრალური რეგიონული საავადმყოფო".

შეძენილი ამოცნობადი აქტივების, ვალდებულებების, პირობითი ვალდებულებებისა და "ბლოკჯორჯია კომპანიების ჯგუფი"-ს შედეგად წარმოშობილი გუდვილის სამართლიანი ღირებულებები შეძენის თარიღისათვის შემდეგია:

| | *შესყიდვისას აღიარებული სამართლიანი ღირებულება* |
|---|---|
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 408 |
| დებიტორული დავალიანება[1] | 3,184 |
| ძირითადი საშუალებები | 38,096 |
| საავანსო გადახდები | 15 |
| სხვა აქტივები | 1,443 |
| | **43,146** |
| საკრედიტო და სხვა დავალიანებები | 13,464 |
| მიმდინარე მოგების საგადასახადო ვალდებულებები | 243 |
| გადავადებული მოგების საგადასახადო ვალდებულება | 1,167 |
| სხვა ვალდებულებები | 8,151 |
| | **23,025** |
| **სულ ამოცნობადი წმინდა აქტივები** | **20,121** |
| არასაკონტროლო წილი წმინდა შეძენილი აქტივების სამართლიან ღირებულებაში | 5,652 |
| უარყოფითი გუდვილი ბიზნეს კომბინაციიდან[2] | (1,380) |
| **გადახდილი საფასური[3]** | **13,089** |

[1]დებიტორული დავალიანებების სამართლიანი ღირებულება შეადგენს 3,184 ლარს. დებიტორული დავალიანებების მთლიანი მოცულობაა შეადგენს 3,191 ლარს. არცერთი დებიტორული დავალიანება არ გაუფასურებულა და სავარაუდოდ ამოღებული იქნება სრული საკონტრაქტო ღირებულებები.

[2] შეძენამდე, "ბლოკ საქართველოს კომპანიების ჯგუფს" წარმოექმნა გარკვეული ფინანსური პრობლემები საავადმყოფოების მშენებლობის დაფინანსებასთან დაკავშირებით. აღნიშნულმა პრობლემებმა გამოიწვია შესყიდვის ღირებულების შემცირება, რაც გარდაიქმნა არასაბაზრო პირობებში განხორციელებული გარიგებიდან მიღებულ მოგებაში – რაც აისახა სხვა საოპერაციო მოგებაში (შენიშვნა 25)

*(თანხები ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული)*

## 5. საწარმოთა გაერთიანება (გაგრძელება)

### ბლოკ ჯორჯია კომპანიების ჯგუფი (გაგრძელება)

[3] საფასური შედგებოდა 5,857 ლარის ოდენობით გადავადებული ფულადი ანგარიშსწორებისგან. სს "ჩემი ოჯახის კლინიკამ" გამოუშვა 2,713,000 ჩვეულებრივი აქცია, გადახდილი საფასურის ნაწილის სახით. შედეგად, სს "სადაზღვევო კომპანია ალდაგი ბისიაი"-ის სააქციო კაპიტალი სს "ჩემი ოჯახის კლინიკაში" შემცირდა 51%-მდე.

შვილობილი კომპანიის განკარგვის შემდეგ, გუდვილის საერთო ღირებულება იქნება გამოქვითვადი საგადასახადო მიზნებისათვის.

ჯგუფმა გადაწყვიტა მონაწილეობისა და კაპიტალდაბანდების გაზრდა სამედიცინო სექტორში, რამდენადაც არსებულ საავადმყოფოებთან ერთად შეძენილი საავადმყოფოების აქტივები მოიცავს საქართველოს ორ დიდ რეგიონს – იმერეთს და სამეგრელოს, სადაც თავმოყრილია სახელმწიფო პროგრამით დაზღვეული ჯგუფის კლიენტურის უდიდესი ნაწილი. ხელმძღვანელობის მოსაზრებით, აღნიშნული გარიგება დადებით ზემოქმედებას იქონიებს ჯგუფის ღირებულებაზე.

შეძენის თარიღის შემდეგ, ჯგუფმა მოგებისა და შემოსავლის სახით აღრიცხა 2,588 ლარი და 354 ლარი, შესაბამისად. საწარმოთა გაერთიანება რომ მომხდარიყო წლის დასაწყისში, ჯგუფი აღრიცხავდა მოგებასა და შემოსავალს 31,395 ლარის და 1,892 ლარის ოდენობით, შესაბამისად.

ვინაიდან ბლოკ ჯორჯია კომპანიების ჯგუფის შეძენა წლის ბოლოსთვის განხორციელდა, ჯგუფს მცირე დრო ჰქონდა შესაბამისი წმინდა აქტივებისა და გუდვილის მოცულობის განსახილველად, გასაანალიზებლად და შესაფასებლად. შესაბამისად, ზემოთ მითითებული წმინდა აქტივები ისევე, როგორც გუდვილის მოცულობა წარმოდგენილია პირობითად საანგარიშო თარიღის მდგომარეობით. ჯგუფი კვლავ აგრძელებს აღნიშნული წმინდა აქტივების დეტალურ და ყოვლისმომცველ შემოწმებას და ცდომილებების გამოვლენის შემთხვევაში, გაკეთდება წმინდა აქტივებისა და გუდვილის მოცულობის სათანადო შესწორება შეძენის თარიღიდან თორმეტ თვეში, "საწარმოთა გაერთიანების" (ფასს 3) სტანდარტით დაშვებულის ფარგლებში. თუმცა, საანგარიშო თარიღის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის შეხედულებით გათვალისწინებულია საწარმოთა გაერთიანების ფაქტორების უდიდესი ნაწილი და პირობითად წარმოდგენილი წმინდა აქტივები ძირითადად მათ სამართლიან ღირებულებას შეესაბამება.

### შპს "ქუთაისის რეგიონალური კლინიკური საავადმყოფო"

2010 წლის 1 ოქტომბერს, სს ჩემი ოჯახის კლინიკამ შეისყიდა შპს ქუთაისის რეგიონალური კლინიკური საავადმყოფოს, სამედიცინო მომსახურების გამწევი ორგანიზაციის, 100%. შეძენილი ამოცნობადი აქტივების, ვალდებულებების, პირობითი ვალდებულებებისა და წარმოშობილი გუდვილის სამართლიანი ღირებულებები შეძენის თარიღისათვის შემდეგია:

| | *შესყიდვისას აღიარებული სამართლიანი ღირებულება* | *საბალანსო ღირებულება* |
|---|---|---|
| ძირითადი საშუალებები | 658 | 481 |
| | **658** | **481** |
| გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება | 27 | – |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 17 | 17 |
| | **44** | **17** |
| წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულება | **614** | **464** |
| შესყიდვისას წარმოშობილი უარყოფითი გუდვილი | 179 | |
| **გადახდილი საფასური** | **435** | |

*(თანხები ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული)*

## 6. გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები

გუდვილისა და სხვა არამატერიალური აქტივების დინამიკა შემდეგია:

| | *გუდვილი* | *ლიცენზიები* | *კომპიუტერული პროგრამები* | *სულ* |
|---|---|---|---|---|
| **ღირებულება** | | | | |
| **2010 წლის 31 დეკემბერი** | **16,065** | **46** | **164** | **16,275** |
| მატება | – | 11 | 263 | **274** |
| შეძენა საწარმოთა გაერთიანების გზით | **493** | – | – | **493** |
| განკარგვები | – | – | (36) | **(36)** |
| **2011 წლის 31 დეკემბერი** | **16,558** | **57** | **391** | **17,006** |
| **აკუმულირებული ამორტიზაცია და გაუფასურება** | | | | |
| **2010 წლის 31 დეკემბერი** | – | **18** | **110** | **128** |
| ამორტიზაციის დანარიცხი | – | 9 | 41 | **50** |
| **2011 წლის 31 დეკემბერი** | – | **27** | **151** | **178** |
| **ნარჩენი საბალანსო ღირებულება:** | | | | |
| **2010 წლის 31 დეკემბერი** | **16,065** | **28** | **54** | **16,147** |
| **2011 წლის 31 დეკემბერი** | **16,558** | **30** | **240** | **16,828** |

| | *გუდვილი* | *ლიცენზიები* | *კომპიუტერული პროგრამები* | *სულ* |
|---|---|---|---|---|
| **ღირებულება** | | | | |
| **2009 წლის 31 დეკემბერი** | **16,065** | **14** | **156** | **16,235** |
| მატება | – | 32 | 8 | **40** |
| **2010 წლის 31 დეკემბერი** | **16,065** | **46** | **164** | **16,275** |
| **აკუმულირებული ამორტიზაცია და გაუფასურება** | | | | |
| **2009 წლის 31 დეკემბერი** | – | **2** | **96** | **98** |
| ამორტიზაციის დანარიცხი | – | 16 | 14 | **30** |
| **2010 წლის 31 დეკემბერი** | – | **18** | **110** | **128** |
| **ნარჩენი საბალანსო ღირებულება:** | | | | |
| **2009 წლის 31 დეკემბერი** | **16,065** | **12** | **60** | **16,137** |
| **2010 წლის 31 დეკემბერი** | **16,065** | **28** | **54** | **16,147** |

მთლიანი ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ბიზნეს ერთეულის აღდგენადი თანხა განისაზღვრა გამოყენებითი ღირებულების შესაბამისად, ფულადი ნაკადების პროგნოზის გზით, ზედა რგოლის ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებული 2012 წლის ფინანსური ბიუჯეტის გამოყენებით.

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბიზნესის გაერთიანებისას შეძენილი გუდვილი განაწილებულ იქნა ფულადი სახსრების წარმომქმნელ შემდეგ ერთეულებზე გაუფასურების შემოწმების მიზნებისათვის:

- სს სადაზღვევო კომპანია ალდაგი ბისიაი
- სს ჩემი ოჯახის კლინიკა
- სს ქუთაისის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ქირურგიული ცენტრი

*(თანხები ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული)*

## 6. გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

ფულადი სახსრების წარმომქმნელი თითოეული ერთეულის აღდგენადი თანხა განისაზღვრა გამოყენებითი ღირებულების შესაბამისად, ფულადი ნაკადების პროგნოზირების გზით, დამტკიცებულ ბიუჯეტზე დაყრდნობით, იმ დაშვებით, რომ საქმიანობა არ გაფართოვდება და იქნება სტაბილური. ფულადი ნაკადების პროგნოზირებისათვის მისადაგებული დისკონტირების განაკვეთი წარმოადგენს ფულადი სახსრების წარმომქმნელი თითოეული ერთეულის კაპიტალის საშუალო შეწონილ ღირებულებას ("კსშღ").

ფულადი სახსრების წარმომქმნელ თითოეულ ერთეულზე განაწილებული გუდვილის საბალანსო ღირებულება შემდეგია:

| | *ზრდის ეფექტური წლიური განაკვეთი სამი წლის ფინანსურ ბიუჯეტებში* | *გაუფასურების ტესტისთვის გამოყენებული კსშღ* | *გუდვილის საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2011* | *31 დეკემბერი 2010* |
|---|---|---|---|---|
| სს სადაზღვევო კომპანია ალდაგი ბისიაი | 20.00% | 13.30% | 15,557 | 15,557 |
| სს ქუთაისის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ქირურგიული ცენტრი | 38.59% | 16.00% | 288 | 288 |
| სს ჩემი ოჯახის კლინიკა | 38.69% | 16.00% | 220 | 220 |
| შპს სადაზღვევო კომპანია "პარტნიორი" | – | – | 493 | – |
| **სულ** | | | **16,558** | **16,065** |

## 7. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების დინამიკა შემდეგია:

| | *მიწა და შენობა-ნაგებობები* | *ავეჯი და მოწყობილობები* | *კომპიუტერები და საოფისე ტექნიკა* | *სატრანსპორტო საშუალებები* | *საიჯარო გაუმჯობესებები* | *ფინანსური იჯარით მიღებული აქტივები* | *დაუმთავრებელი მშენებლობა* | *სულ* |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **საერთო საბალანსო ღირებულება** | | | | | | | | |
| **2010 წლის 31 დეკემბერი** | **4,849** | **1,519** | **1,323** | **245** | **812** | **937** | **2,746** | **12,431** |
| შეძენა საწარმოთა გაერთიანების გზით (შენიშვნა 5) | 26,311 | 1,439 | 10,029 | 212 | – | – | 646 | **38,637** |
| მატება | 5,372 | 218 | 4,430 | 151 | 209 | – | 4,563 | **14,943** |
| კლება | – | (4) | (7) | (19) | (223) | – | – | **(253)** |
| გადაცემა | 6,171 | (7) | 11 | - | (4) | – | (6,171) | – |
| **2011 წლის 31 დეკემბერი** | **42,703** | **3,165** | **15,786** | **589** | **794** | **937** | **1,784** | **65,758** |
| **აკუმულირებული ცვეთა 2010 წლის 31 დეკემბერი** | – | **416** | **586** | **45** | **240** | **277** | – | **1,564** |
| ცვეთის დანარიცხი | 93 | 188 | 523 | 62 | 61 | – | – | **927** |
| კლება | (70) | (19) | 27 | (9) | (90) | – | – | **(161)** |
| **2011 წლის 31 დეკემბერი** | **23** | **585** | **1,136** | **98** | **211** | **277** | – | **2,330** |
| **ნარჩენი საბალანსო ღირებულება** | | | | | | | | |
| **2010 წლის 31 დეკემბერი** | **4,849** | **1,103** | **737** | **200** | **572** | **660** | **2,746** | **10,867** |
| **2011 წლის 31 დეკემბერი** | **42,680** | **2,580** | **14,650** | **491** | **583** | **660** | **1,784** | **63,428** |

*(თანხები ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული)*

## 7. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

| | *მიწა და შენობა-ნაგებობები* | *ავეჯი და მოწყობილობები* | *კომპიუტერები და საოფისე ტექნიკა* | *სატრანსპორტო საშუალებები* | *საიჯარო გაუმჯობესებები* | *ფინანსური იჯარით მიღებული აქტივები* | *დაუმთავრებელი მშენებლობა* | *სულ* |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საერთო საბალანსო ღირებულება | | | | | | | | |
| **2009 წლის 31 დეკემბერი** | **4,490** | **1,350** | **1,004** | **243** | **381** | **749** | **1,080** | **9,297** |
| შეძენა საწარმოთა გაერთიანების გზით (შენიშვნა 5) | 658 | – | – | – | – | – | – | **658** |
| მატება | 371 | 251 | 321 | 146 | 469 | 188 | 1,666 | **3,412** |
| კლება | (241) | (82) | (2) | (144) | (38) | – | – | **(507)** |
რისკების ცვალებადობა უმჯობესდება ზარალების რისკის სადაზღვევო კონტრაქტების დიდ პორტფელზე დივერსიფიცირებით, იმდენად, რამდენადაც მეტად დივერსიფიცირებულ პორტფელზე ნაკლებ გავლენას ახდენს გაუთვალისწინებელი შედეგები და ცვლილებები მის რომელიმე ნაწილში. რისკების ცვალებადობა ასევე უმჯობესდება ანდერრაიტინგის სტრატეგიისა და ნორმების ფრთხილი შერევითა და დანერგვით, ასევე გადაზღვევის ხელშეკრულებების გამოყენებით. ჯგუფი ადგენს ანდერრაიტინგის დირექტივებსა და შეზღუდვებს, საიდანაც განისაზღვრება, თუ ვის რა რისკის მიღება შეუძლია და რა შეზღუდვებით. აღნიშნული შეზღუდვების მონიტორინგი მუდმივად ხორციელდება.

ჯგუფის ზარალისა და კომბინირებული კოეფიციენტები შემდეგნაირი იყო:

| | *2011* | *2010* |
|---|---|---|
| ზარალის კოეფიციენტი | 56% | 56% |
| კომბინირებული კოეფიციენტი | 93% | 86% |

ჯგუფის საქმიანობა მოიცავს როგორც სიცოცხლის, ასევე ზოგადი დაზღვევის კონტრაქტებს.

#### (1) სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებები

ჯგუფი ძირითადად ადგენს სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებებს, რომელთა საფუძველზეც პოლისის მფლობელის სიცოცხლე დაზღვეულია გარდაცვალების ან მუდმივი ქმედუუნარობისგან, ჩვეულებრივ წინასწარ განსაზღვრული თანხით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სიცოცხლის დაზღვევის თანხები 4 ნაწილად (ლიმიტები ათას ლარშია მოცემული).

| *ზარალებთან დაკავშირებული ვალდებულებები ყოველ დაზღვეულ სიცოცხლეზე, 31 დეკემბერი 2011* | *ზარალებთან დაკავშირებული ვალდებულებები, საერთო* | *ზარალებთან დაკავშირებული ვალდებულებები, გადამზღვევის წილი* | *ზარალებთან დაკავშირებული ვალდებულებები, წმინდა* |
|---|---|---|---|
| 0-100 | 259,744 | 44,355 | 215,389 |
| 100-200 | 490 | 260 | 230 |
| 200-1000 | 3,114 | 1,692 | 1,422 |
| 1,000-ზე მეტი | 230,429 | 125,530 | 104,899 |
| სულ | **493,776** | **171,837** | **321,940** |

| *ზარალებთან დაკავშირებული ვალდებულებები ყოველ დაზღვეულ სიცოცხლეზე, 31 დეკემბერი 2010* | *ზარალებთან დაკავშირებული ვალდებულებები, საერთო* | *ზარალებთან დაკავშირებული ვალდებულებები, გადამზღვევის წილი* | *ზარალებთან დაკავშირებული ვალდებულებები, წმინდა* |
|---|---|---|---|
| 0-100 | 397,496 | 124,600 | 272,896 |
| 100-200 | 750 | 730 | 20 |
| 200-1000 | 4,765 | 4,752 | 13 |
| 1,000-ზე მეტი | 352,635 | 352,635 | – |
| სულ | **755,646** | **482,717** | **272,929** |

*(თანხები ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული)*

## 33. რისკების მართვა (გაგრძელება)

### სადაზღვევო რისკი (გაგრძელება)

#### (1) სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებები (გაგრძელება)

ჯგუფის ანდერრაიტინგის სტრატეგია შემუშავებულია იმის უზრუნველსაყოფად, რომ რისკების დივერსიფიცირება მოხდეს მათი სახეობისა და სადაზღვევო თანხის მიხედვით. ეს მიიღწევა ძირითადად ინდუსტრიისა და გეოგრაფიული ნიშნების მიხედვით დივერსიფიცირების გზით, სამედიცინო დაკვირვებით იმისათვის, რომ ფასის განსაზღვრა მოხდეს არსებული ჯანმრთელობის მდგომარეობის და ოჯახის სამედიცინო ისტორიის გათვალისწინებით, სადაზღვევო ზარალების ანაზღაურების მუდმივი გადახედვისა და პროდუქტის შეფასებით, ასევე ზარალების დარეგულირების დეტალური პროცედურებით. არსებობს ანდერრაიტინგის შეზღუდვები იმისათვის, რომ გათვალისწინებული იქნას შესაბამისი რისკის შერჩევის კრიტერიუმები. მაგალითად, ჯგუფს უფლება აქვს არ განაახლოს ინდივიდუალური პოლისები, შემოიღოს ფრანშიზა და უარყოს თაღლითური ზარალები. სადაზღვევო კონტრაქტები ასევე უფლებას ანიჭებს ჯგუფს მოსთხოვოს მესამე მხარეს გარკვეული ან ყველა ხარჯის ანაზღაურება. ჯგუფი ასევე ახორციელებს აქტიურად მართვისა და ზარალების სწრაფი დარეგულირების პოლიტიკას იმისათვის, რომ შემცირდეს მისი დამოკიდებულება გაუთვალისწინებელ სამომავლო მოვლენებზე, რამაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ჯგუფზე.

ამჟამად, დაზღვეული რისკები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ადგილმდებარეობის მიხედვით, თუმცა თანხების მიხედვით არასათანადო კონცენტრაციამ შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს სადაზღვევო თანხის გადახდის სიმძიმეზე, პორტფელური შეფასებით.იმ კონტრაქტებისათვის, რომლებშიც გარდაცვალება ან ქმედუუნარობა დაზღვეული რისკებია, ზარალების სიხშირის გაზრდის გამომწვევი ფაქტორი შეიძლება იყოს: ეპიდემია, ცხოვრების წესში შეტანილი ფართოდ გავრცელებული ცვლილებები და სტრიქიური უბედურებები, რომლებიც წარმოქმნიან ნაადრევ ან მოსალოდნელზე მეტ ზარალებს. არსებობს მთლიანად ჯგუფის გადაზღვევის შეზღუდვა მაღალი რისკის მქონე დაზღვეულ პირებზე, რაც 5,000 ლარს შეადგენს.

#### (1) სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებები (გაგრძელება)

2011 და 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის სადაზღვევო ვალდებულებების გეოგრაფიული განაწილება შემდეგია.ინფორმაცია ეფუძნება ქვეყნებს, სადაც სადაზღვევო საქმიანობა არის გაწერილი. პირდაპირ გაწერილი სადაზღვევო საქმიანობა წარმოებს მხოლოდ საქართველოში, ხოლო ყველა გადამზღვევი კომპანია მდებარეობს საქართველოს ფარგლებს გარეთ.

| *ზარალებთან დაკავშირებული ვალდებულებები ყოველ დაზღვეულ სიცოცხლეზე, 31 დეკემბერი 2011* | *ზარალებთან დაკავშირებული ვალდებულებები, საერთო* | *ზარალებთან დაკავშირებული ვალდებულებები, გადამზღვევის წილი* | *ზარალებთან დაკავშირებული ვალდებულებები, წმინდა* |
|---|---|---|---|
| საქართველო | 493,776 | 171,837 | 321,940 |
| **სულ** | **493,776** | **171,837** | **321,940** |

| *ზარალებთან დაკავშირებული ვალდებულებები ყოველ დაზღვეულ სიცოცხლეზე, 31 დეკემბერი 2010* | *ზარალებთან დაკავშირებული ვალდებულებები, საერთო* | *ზარალებთან დაკავშირებული ვალდებულებები, გადამზღვევის წილი* | *ზარალებთან დაკავშირებული ვალდებულებები, წმინდა* |
|---|---|---|---|
| საქართველო | 755,646 | 482,717 | 272,929 |
| **სულ** | **755,646** | **482,717** | **272,929** |

*(თანხები ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული)*

## 33. რისკებისმართვა (გაგრძელება)

### სადაზღვევო რისკი (გაგრძელება)

#### (2) ზოგადიდაზღვევის კონტრაქტები

ჯგუფი ძირითადად გასცემს შემდეგი ტიპის ზოგად სადაზღვევო კონტრაქტებს: სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა, ქონების დაზღვევა, ფინანსური რისკების დაზღვევა, სამედიცინო დაზღვევა, გარანტიები, ტვირთის დაზღვევა, გადამზიდველის პასუხისმგებლობის დაზღვევა, მესამე პირის პასუხისმგებლობის დაზღვევა, ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა, პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა, საწყლოსნო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა, საჰაერო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა, კონტრაქტის შესრულების გარანტია. სადაზღვევო პოლისებთან (სიცოცხლის გარდა) დაკავშირებული რისკები ჩვეულებრივ მოიცავს თორმეტ თვემდე ვადას.

ზოგად დაზღვევის კონტრაქტებისათვის ყველაზე არსებითი რისკი წარმოიქმნება კლიმატის ცვლილების, სტიქიური უბედურებებისა და ტერორისტული ქმედებებისაგან. ჯანმრთელობის დაზღვევის კონტრაქტებისათვის ყველაზე არსებითი რისკები წარმოიქმნება ცხოვრების წესის შეცვლის, ეპიდემიისა და ტექნოლოგიური გაუმჯობესებების შედეგად.

ეს რისკები მნიშვნელოვნად იცვლება ჯგუფის მიერ დაზღვეული რისკის ადგილმდებარეობის, დაზღვეული რისკის სახეობისა და ინდუსტრიის მიხედვით. თანხების მიხედვით არასათანადო კონცენტრაციამ შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს სადაზღვევო თანხის გადახდის სიმძიმეზე, პორტფელური შეფასებით.

ზემოაღნიშნული რისკის დონე მცირდება სადაზღვევო კონტრაქტების დიდი პორტფელისა და გეოგრაფიული ნიშნით დივერსიფიცირების გზით. რისკების ცვალებადობა უმჯობესდება ანდერრაიტინგის სტრატეგიების ყურადღებით შერჩევისა და განხორციელების გზით, რომლებიც შემუშავებულია იმის უზრუნველსაყოფად, რომ რისკების დივერსიფიცირება მოხდეს მათი სახეობისა და სადაზღვევო თანხის მიხედვით. ეს მიიღწევა ძირითადად ინდუსტრიისა და გეოგრაფიული ნიშნების მიხედვით დივერსიფიცირების გზით. გარდა ამისა, ზარალის განხილვის მკაცრი პოლიტიკა ყველა ახალი და მიმდინარე ზარალების შესაფასებლად, ზარალების დარეგულირების პროცედურების რეგულარული დეტალური განხილვა და შესაძლო თაღლითური ზარალების ხშირი გამოძიება წარმოადგენს არსებულ პოლიტიკებსა და პროცედურებს, რომელიც გამიზნულია ჯგუფის რისკის დონის შემცირებისაკენ. ჯგუფი ასევე ანხორციელებს აქტიურად მართვისა და ზარალების სწრაფი დარეგულირების პოლიტიკას იმისათვის, რომ შემცირდეს მისი დამოკიდებულება გაუთვალისწინებელ სამომავლო მოვლენებზე, რამაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ჯგუფზე.

ჯგუფმა ასევე შეზღუდა მისი რისკის დონე გარკვეულ კონტრაქტებზე ზარალის მაქსიმალური სიდიდის დაწესებით, ასევე გადაზღვევის შეთანხმებების გამოყენებით იმისათვის, რომ შემცირებულიყო კატასტროფულ მოვლენებთან დაკავშირებული რისკი, მაგალითად, ქარიშხლით, მიწისძვრითა და წყალდიდობით გამოწვეული ზარალები.

*(თანხები ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული)*

## 33. რისკების მართვა (გაგრძელება)

### სადაზღვევო რისკი (გაგრძელება)

### (2) ზოგადი დაზღვევის კონტრაქტები (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში დადგენილია ზოგად სადაზღვევო კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებების კონცენტრაცია კონტრაქტის სახეობის მიხედვით.

| | 2011 | | | 2010 | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | *ზარალებთან დაკავშირებული ვალდებულებები, სართო* | *ზარალებთან დაკავშირებული ვალდებულებები, გადამზღვევის წილი* | *ზარალებთან დაკავშირებული ვალდებულებები, წმინდა* | *ზარალებთან დაკავშირებული ვალდებულებები, საერთო* | *ზარალებთან დაკავშირებული ვალდებულებები, გადამზღვევის წილი* | *ზარალებთან დაკავშირებული ვალდებულებები, წმინდა* |
| ტვირთი | 12 | - | 12 | 136 | – | 136 |
| ავტომანქანა | 1,026 | 410 | 616 | 764 | 96 | 668 |
| ქონება | 1,335 | 1,274 | 61 | 1,334 | 1,254 | 80 |
| პასუხისმგებლობა | 2,339 | 2,155 | 184 | 1,757 | 1,718 | 39 |
| ჯანმრთელობა | 3,082 | 19 | 3,063 | 3,265 | 63 | 3,202 |
| მგზავრობა | 23 | - | 23 | 56 | 7 | 49 |
| სიცოცხლე | 235 | 29 | 206 | 428 | 157 | 271 |
| უბედური შემთხვევისაგან დაზღვევა | 13 | - | 13 | 251 | 196 | 55 |
| გარანტიები | 24 | 3 | 21 | – | – | – |
| | **8,089** | **3,890** | **4,199** | **7,991** | **3,491** | **4,500** |

ზოგადი სადაზღვევო კონტრაქტებისათვის ყველაზე არსებითი რისკი წარმოიქმნება სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევის ზარალების სიხშირისა და მათი სიმძიმის ცვლილებით და სამედიცინო დაზღვევის ფასების ზრდით. ამგვარი რისკები მნიშვნელოვნად განსხვავდება ჯგუფის მიერ დაზღვეული რისკის ადგილმდებარეობასთან მიმართებაში, დაზღვეული რისკების სახეობის მიხედვით.

რისკების ცვალებადობა უმჯობესდება ზარალების რისკის სადაზღვევო კონტრაქტების დიდ პორტფელზე და ვრცელ გეოგრაფიულ სივრცეზე დივერსიფიცირებით, იმდენად, რამდენადაც მეტად დივერსიფიცირებულ პორტფელზე ნაკლებ გავლენას ახდენს ცვლილებები მის რომელიმე ნაწილში.

რისკების ცვალებადობა ასევე უმჯობესდება ანდერრაიტინგის სტრატეგიის ფრთხილი შერჩევითა და დანერგვით. ჯგუფი აყალიბებს ანდერრაიტინგის დირექტივებს და შეზღუდვებს, საიდანაც განისაზღვრება თუ ვის რა რისკის მიღება შეუძლია და რა შეზღუდვით. აღნიშნული შეზღუდვის მონიტორინგი მუდმიცად ხორციელდება. არსებობს ზარალის განხილვის მკაცრი პოლიტიკა ყველა ახალი და მიმდინარე ზარალების შესაფასებლად, ასევე ხდება შესაძლო თაღლითური ზარალების ხშირი გამოძიება. ჯგუფი ნერგავს აქტიური მართვისა და ზარალების სწრაფი დამუშავების პოლიტიკას, იმისათვის რომ შემცირდეს მისი ზეგავლენა გაუთვალისწინებელ მომავალ მოვლენებზე, რომლებმაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ჯგუფზე.

ბიზნესი გადაცემულია სხვადასხვა პირობებით (პროპორციული, ზარალის გადაჭარბება, ზედმეტობა) და შესაბამისად სხვადასხვა შენარჩუნების ლიმიტებით, რომელიც იცვლება პროდუქტის ხაზისა და ტერიტორიის მიხედვით. გადამზღვევთაგან მისაღები თანხები შეფასებულია იმ ვარაუდებზე დაყრდნობით, რომლებიც გამოიყენება პოლისის სარგებლის დასადგენად და საბალანსო ანგარიშგებაში წარმოდგენილია, როგორც გადაზღვევის აქტივები.

2011 და 2010 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის სადაზღვევო ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია შემდეგია.ინფორმაცია ეფუძნება ქვეყნებს, სადაც სადაზღვევო საქმიანობა არის გაწერილი. პირდაპირ გაწერილი სადაზღვევო საქმიანობა წარმოებს მხოლოდ საქართველოში, ხოლო გადამზღვევი კომპანიები მდებარეობენ საქართველოს ფარგლებს გარეთ.

*(თანხები ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული)*

33. რისკების მართვა (გაგრძელება)

სადაზღვევო რისკი (გაგრძელება)

(2) ზოგადი დაზღვევის კონტრაქტები (გაგრძელება)

| | *2011* | | | *2010* | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | *ზარალებთან დაკავშირებული ვალდებულებები, საერთო* | *ზარალებთან დაკავშირებული ვალდებულებები, გადამზღვევის წილი* | *ზარალებთან დაკავშირებული ვალდებულებები, წმინდა* | *ზარალებთან დაკავშირებული ვალდებულებები, საერთო* | *ზარალებთან დაკავშირებული ვალდებულებები, გადამზღვევის წილი* | *ზარალებთან დაკავშირებული ვალდებულებები, წმინდა* |
| საქართველო | 8,089 | 3,890 | 4,199 | 7,991 | 3,491 | 4,500 |
| სულ | 8,089 | 3,890 | 4,199 | 7,991 | 3,491 | 4,500 |

ფინანსური რისკი

(1) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი გამოიხატება იმაში, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთმა მხარემ შესაძლოა ვერ მოახერხოს ვალდებულების დაფარვა და შედეგად მეორე მხარეს ზარალი მიადგეს.

კომპანია ახორციელებს საკრედიტო რისკის დონის მართვას ჯგუფის კომპლექსური საკრედიტო რისკის პოლიტიკის მეშვეობით, რომლის მიხედვითაც ფასდება თუ რას ნიშნავს კომპანიისათვის საკრედიტო რისკი; განისაზღვრება შეზღუდვები რისკის დონეზე მეორე მხარის (მხარეების), გეოგრაფიული და საწარმოო სეგმენტების მიმართ; დგინდება გაქვითვის უფლება, როდესაც მეორე მხარე არის როგორც დებიტორი, ასევე კრედიტორი; განისაზღვრება უზრუნველყოფისა და გარანტიების მოპოვების წესები, საკრედიტო რისკის დონის აღრიცხვა და მონიტორინგის უფლებამოსილების დარღვევა; ხდება საკრედიტო რისკის პოლიტიკის გადასინჯვა ცვალებად გარემოსთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

ქვემოთ მოცემულია მოკლე აღწერა, თუ როგორ ახორციელებს ჯგუფი საკრედიტო რისკის მართვას.

*გადაზღვევა*

მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფს შეიძლება ჰქონდეს გადაზღვევის შეთანხმებები, ამით არ მცირდება მისი პირდაპირი ვალდებულებები პოლისის მფლობელთა წინაშე, და აქედან გამომდინარე საკრედიტო რისკი მაინც არსებობს, რადგანაც შეიძლება რომელიმე გადამზღვეველმა ვერ შეასრულოს არსებული შეთანხმების პირობებითგათვალისწინებული მოვალეობები. ჯგუფი არ არის დამოკიდებული მხოლოდ ერთ რომელიმე ცალკეულ გადამზღვეველზე და არც მისი ოპერაციებია მნიშვნელოვნად დამოკიდებული გადაზღვევის ერთ კონტრაქტზე. ჯგუფის მიერ წარმოებული ოპერაციები რომელიმე ცალკეულ გადამზღვეველთან არ აღემატება მთლიანი გადაზღვევის აქტივების 34%-ს ბალანსის შედგენის დღეს. კომპანიააფასებს გადამზღვევის ფინანსურ მდგომარეობას და ამოწმებს მისი საკრედიტო რისკების კონცენტრაციას გეოგრაფიული რეგიონების, საქმიანობისა და ეკონომიკური მახასიათებლების მიხედვით, რომ მინიმუმამდე დაიყვანოს გადამზღვევლის გადახდისუუნარობის შემთხვევაში წარმოშობილი დანაკარგები.

*(თანხები ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული)*

## 33. რისკების მართვა (გაგრძელება)

### ფინანსური რისკი

### (1) საკრედიტო რისკი

***საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები***

ჯგუფი ზღუდავს რისკის დონეს პორტფელურ ფასიანი ქაღალდებში ცალკეულ ემიტენტზე ან ემიტენტების ჯგუფზე მაქსიმალური ლიმიტის დაწესების გზით. ჯგუფი ასევე თანამშრომლობს მხოლოდ მაღალ კრედიტუნარიან დაწესებულებებთან.

***სესხები და მოთხოვნები***

ჯგუფი ადგენს მაქსიმალურ თანხებს და ლიმიტებს, რაც შეიძლება გაცემულ იქნეს ავანსად ინდივიდუალურ კორპორატიულ კონტრაგენტებზე, რომლებიც განისაზღვრებიან მათი გრძელვადიანი რეიტინგის მიხედვით.

მომხმარებელთა ნაშთებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი, წარმოშობილი პრემიების ან შენატანების გადაუხდელობის შემთხვევაში, შეიძლება არსებობდეს მხოლოდ პოლისით ან სატრასტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული საშეღავათო პერიოდის განმავლობაში, რომლის ამოწურვის შემთხვევაში პოლისი ან დაიფარება ან შეწყვეტს მოქმედებას.

*საკრედიტო ხარისხი ფინანსური აქტივების ტიპების მიხედვით*

ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის მართვა ხდება ჯგუფის შიდა საკრედიტო რეიტინგებით. ქვემოთ მოყვანილია აქტივების ტიპების საკრედიტო ხარისხი, ჯგუფის საკრედიტო სისტემაზე დაყრდნობით.

| | *შენიშვნები* | *არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული 2011* | *ვადაგადაცილებული მაგრამ არა გაუფასურებული 2011* | *სულ 2011* |
|---|---|---|---|---|
| მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ | 13 | 9,443 | – | **9,443** |
| გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები | 8 | 3,093 | – | **3,093** |
| მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან | 11 | | | |
| - მოთხოვნები დაზღვევიდან | | 19,274 | 1,515 | **20,789** |
| - მოთხოვნები გადაზღვევიდან | | 1,425 | – | **1,425** |
| **სულ** | | **33,235** | **1,515** | **34,750** |

| | *შენიშვნები* | *არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული 2010* | *ვადაგადაცილებული მაგრამ არა გაუფასურებული 2010* | *სულ 2010* |
|---|---|---|---|---|
| მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ | 13 | 6,659 | – | **6,659** |
| გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები | 8 | 4,576 | – | **4,576** |
| მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან | 11 | | | |
| - მოთხოვნები დაზღვევიდან | | 17,336 | 1,248 | **18,584** |
| - მოთხოვნები გადაზღვევიდან | | 870 | – | **870** |
| **სულ** | | **29,441** | **1,248** | **30,689** |

*(თანხები ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული)*

## 33. რისკების მართვა (გაგრძელება)

### ფინანსური რისკი (გაგრძელება)

მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან, რომლებიც არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული, მოიცავს მოთხოვნებს, რომლებიც საანგარიშგებო თარიღისათვის არ არიან 30 დღეზე მეტად ვადაგადაცილებული. მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან, რომლებიც ვადაგადაცილებულია, მაგრამ არ არის გაუფასურებული მოიცავს მოთხოვნებს, რომელთა ვადაგადაცილება 30 დღეზე მეტია. ჯგუფს არ გააჩნია საკრედიტო რეიტინგის სისტემა ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული სესხების შეფასებისათვის.

### (2) ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი გამოიხატება იმაში, რომ კომპანიას შესაძლოა შეექმნას სირთულეები ფულადი ვალდებულებების შესასრულებლად საჭირო სახსრების მოზიდვასთან დაკავშირებით. ლიკვიდობის რისკი შეიძლება წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხერხდა ფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულებით დროულად გაყიდვა, კონტრაგენტმა ვერ შეძლო კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება, სადაზღვევო ვალდებულება დადგა მოსალოდნელ დროზე ადრე, ან ვერ მოხერხდა მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემოდინება.

ჯგუფის მთავარი ლიკვიდობის რისკი არის ყოველდღიური ფულადი მოთხოვნა, რომელიც გამოწვეულია მომხდარი ზარალებითა და ვადადამდგარი სასესხო ფასიანი ქაღალდებით.

ჯგუფი ახორციელებს ლიკვიდობის მართვას ჯგუფის ლიკვიდობის რისკის პოლიტიკის მეშვეობით, რომელიც განსაზღვრავს, თუ რას წარმოადგენს ლიკვიდობის რისკი ჯგუფისათვის; ადგენს საგანგებო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საჭირო სახსრების მინიმალურ რაოდენობას; ადგენს საგანგებო დაფინანსების გეგმებს; განსაზღვრავს დაფინანსების წყაროს და გეგმის ამოქმედების გამომწვევ მოვლენებს; ახდენს დაფინანსების წყაროების კონცენტრაციას; განსაზღვრავს ლიკვიდობის რისკის დონის აღრიცხვას და მონიტორინგის უფლებამოსილების დარღვევას; ახდენს ლიკვიდობის რისკის პოლიტიკის გადასინჯვას ცვალებად გარემოსთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს ჯგუფის აქტივებსა და ვალდებულებებს შესაბამის ვადიანობის ჯგუფში, საბალანსო ანგარიშგების შედგენის თარიღიდან კონტრაქტით გათვალისწინებული ვადის ბოლომდე ან მოსალოდნელ დაფარვის თარიღამდე.

*(თანხები ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული)*

## 33. რისკების მართვა (გაგრძელება)

### ფინანსური რისკი (გაგრძელება)

### (2) ლიკვიდობის რისკი (გაგრძელება)

| *31 დეკემბერი, 2011* | *ერთ წლამდე* | *ერთ წელზე მეტი* | *სულ* |
|---|---|---|---|
| აქტივები: | | | |
| სხვა აქტივები | 9,593 | 275 | **9,868** |
| გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი | - | 50 | **50** |
| მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივი | 409 | - | **409** |
| გაცემული სესხი | 3,287 | 1,867 | **5,154** |
| გადაზღვევის აქტივები | 8,778 | - | **8,778** |
| გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები | 3,093 | - | **3,093** |
| მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან | 22,214 | - | **22,214** |
| მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ | 2,252 | 7,191 | **9,443** |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 7,106 | - | **7,106** |
| **სულ აქტივები:** | **56,732** | **9,383** | **66,115** |
| ვალდებულებები: | | | |
| სხვა ვალდებულებები | 5,189 | - | **5,189** |
| საპენსიო და სხვა სარგებლიდან ვალდებულებები | - | 6,353 | **6,353** |
| გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება | - | 1,581 | **1,581** |
| ფინანსური ვალდებულებები | 10,880 | 15,630 | **26,510** |
| სხვა სადაზღვევო ვალდებულებები | 9,659 | - | **9,659** |
| ვალდებულებები სადაზღვევო კონტრაქტებიდან | 33,991 | 1,298 | **35,289** |
| კრედიტორული დავალიანებები | 12,253 | 18,563 | **30,816** |
| **სულ ვალდებულებები** | **71,972** | **43,425** | **115,397** |
| **წმინდა საბალანსო პოზიცია** | **(15,240)** | **(34,042)** | **(49,282)** |
| ***აკუმულირებული დეფიციტი*** | **(15,240)** | **(49,282)** | |

*(თანხები ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული)*

## 33. რისკების მართვა (გაგრძელება)

### ფინანსური რისკი (გაგრძელება)

### (2) ლიკვიდობის რისკი (გაგრძელება)

| *31 დეკემბერი, 2010* | *ერთ წლამდე* | *ერთ წელზე მეტი* | *სულ* |
|---|---|---|---|
| აქტივები: | | | |
| სხვა აქტივები | 3,139 | 139 | **3,278** |
| გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი | – | 11 | **11** |
| მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივი | 212 | – | **212** |
| გადაზღვევის აქტივები | 7,271 | – | **7,271** |
| გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები | 4,576 | – | **4,576** |
| მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან | 19,454 | – | **19,454** |
| მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ | 983 | 5,676 | **6,659** |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 9,676 | – | **9,676** |
| **სულ აქტივები:** | **45,311** | **5,826** | **51,137** |
| ვალდებულებები: | | | |
| სხვა ვალდებულებები | 2,299 | – | **2,299** |
| საპენსიო და სხვა სარგებლიდან ვალდებულებები | – | 4,949 | **4,949** |
| გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება | – | 182 | **182** |
| ფინანსური ვალდებულებები | 11,654 | 1,484 | **13,138** |
| სხვა სადაზღვევო ვალდებულებები | 7,138 | – | **7,138** |
| ვალდებულებები სადაზღვევო კონტრაქტებიდან | 31,382 | 1,198 | **32,580** |
| კრედიტორული დავალიანებები | 1,112 | – | **1,112** |
| **სულ ვალდებულებები** | **53,585** | **7,813** | **61,398** |
| **წმინდა საბალანსო პოზიცია** | **(8,274)** | **(1,987)** | **(10,261)** |
| ***აკუმულირებული დეფიციტი*** | **(8,274)** | **(10,261)** | |

ხელმძღვანელობის აზრით, ლიკვიდობა საკმარისია ჯგუფის მიმდინარე მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

ქვემოთმოცემული ცხრილი გვიჩვენებს ჯგუფის ფინანსური ვალდებულებების ხანგრძლივობას 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ვალდებულებები ეფუძნება კონტრაქტით გადასახდელ არადისკონტირებულ თანხებს. ვალდებულებები, რომლებიც გადასახდელია მხოლოდ შეტყობინების საფუძველზე ხანგრძლივობის გადანაწილებისას, მიჩნეულია თითქოს შეტყობინება მიღებულია დაუყოვნებლივ.

*(თანხები ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული)*

33. რისკების მართვა (გაგრძელება)

ფინანსური რისკი (გაგრძელება)

(2) ლიკვიდობის რისკი (გაგრძელება)

| ფინანსური ვალდებულებები2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | *3 თვეზე ნაკლები* | *3 -დან 12 თვემდე* | *1-დან 5 წლამდე* | *5 წელზე მეტი* | *სულ* |
|---|---|---|---|---|---|
| ფინანსური ვალდებულებები | 3,762 | 9,328 | 15,623 | 1,674 | **30,388** |
| სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები | **3,762** | **9,328** | **15,623** | **1,674** | **30,388** |

| ფინანსური ვალდებულებები 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | *3 თვეზე ნაკლები* | *3 -დან 12 თვემდე* | *1- დან 5 წლამდე* | *5 წელზე მეტი* | *სულ* |
|---|---|---|---|---|---|
| ფინანსური ვალდებულებები | 5,481 | 7,357 | 1,732 | – | **14,570** |
| სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები | **5,481** | **7,357** | **1,732** | **–** | **14,570** |

გეოგრაფიული კონცენტრაცია

2011 და 2010 წლის 31 დეკემბრისთვის ჯგუფის აქტივებისა და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია არის შემდეგი.წარმოდგენილი ინფორმაცია ეფუძნება იმ ქვეყნებს, სადაც მოხდა სადაზღვევო საქმიანობის გაწერა.ანალიზს არ ექნება არსებითი განსხვავება, თუ ის დაეფუძნება იმ ქვეყნებს, სადაც მდებარეობენ კონტრაგენტები.

*(თანხები ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული)*

## 33. რისკების მართვა (გაგრძელება)

### ფინანსური რისკი (გაგრძელება)

### გეოგრაფიული კონცენტრაცია (გაგრძელება)

| | 2011 | | | | 2010 | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | *საქართველო* | *ეგთო* | *სხვა ქვეყნები* | *სულ* | *საქართველო* | *ეგთო* | *სხვა ქვეყნები* | *სულ* |
| **აქტივები** | | | | | | | | |
| გადავადებული აკვიზიციური ხარჯები | 1,534 | – | – | 1,534 | 1,629 | – | – | 1,629 |
| გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები | 3,093 | – | – | 3,093 | 4,536 | 30 | 10 | 4,576 |
| გაცემული სესხები | 5,154 | – | – | 5,154 | 625 | – | – | 625 |
| გადაზღვევის აქტივები | 1,357 | 2,984 | 4,437 | 8,778 | 357 | 5,291 | 1,623 | 7,271 |
| გადავადებული საგადასახადო აქტივები | 50 | – | – | 50 | 11 | – | – | 11 |
| მოგების გადასახადის აქტივები | 409 | – | – | 409 | 212 | – | – | 212 |
| სხვა აქტივები | 15,702 | – | – | 15,702 | 3,278 | – | – | 3,278 |
| მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან | 21,418 | 605 | 191 | 22,214 | 18,600 | 336 | 518 | 19,454 |
| მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ | 7,732 | 1,711 | – | 9,443 | 6,587 | 72 | – | 6,659 |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 7,106 | – | – | 7,106 | 9,676 | – | – | 9,676 |
| **სულ აქტივები** | **63,555** | **5,300** | **4,628** | **73,483** | **45,511** | **5,729** | **2,151** | **53,391** |
| **ვალდებულებები:** | | | | | | | | |
| ვალდებულებები საპენსიო დანაგროვზე | 6,353 | – | – | 6,353 | 4,949 | – | – | 4,949 |
| გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება | 1,581 | – | – | 1,581 | 182 | – | – | 182 |
| ვალდებულებები სადაზღვევო კონტრაქტებიდან | 35,289 | – | – | 35,289 | 32,580 | – | – | 32,580 |
| სხვა სადაზღვევო ვალდებულებები | 3,451 | 3,140 | 3,068 | 9,659 | 2,844 | 2,902 | 1,392 | 7,138 |
| ფინანსური ვალდებულებები | 19,515 | 6,995 | – | 26,510 | 13,138 | – | – | 13,138 |
| დებიტორული დავალიანებები | 30,816 | – | – | 30,816 | 1,112 | – | – | 1,112 |
| სხვა ვალდებულებები | 5,189 | – | – | 5,189 | 2,299 | – | – | 2,299 |
| **სულ ვალდებულებები** | **102,194** | **10,135** | **3,068** | **115,397** | **57,104** | **2,902** | **1,392** | **61,398** |
| **წმინდა საბალანსო პოზიცია** | **(38,639)** | **(4,835)** | **1,560** | **(41,914)** | **(11,593)** | **2,827** | **759** | **(8,007)** |

### საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ცვლილების რისკი, რომელიც გამოწვეულია ისეთი საბაზრო ცვლადების ცვლილებით, როგორიცაა სავალუტო კურსი და საპროცენტო განაკვეთები.

კომპანიას აქვს საბაზრო რისკები. საბაზრო რისკები არის ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ცვლილების რისკები, რომელიც გამოწვეულია უცხოერი ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი), საბაზრო საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო განაკვეთის რისკი) და საბაზრო ფასების (ფასების რისკი) ცვლილებებით, მიუხედავად იმისა, ასეთი ცვლილება ფასში გამოწვეულია ინდივიდუალური ინსტრუმენტისთვის ან მისი გამცემებისთვის დამახასიათებელი ფაქტორებით ან ბაზარზე სავაჭროდ გამოტანილი ყველა ინსტრუმენტზე ზეგავლენის მქონე ფაქტორებით.

*(თანხები ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული)*

## 33. რისკების მართვა (გაგრძელება)

### საბაზრო რისკი (გაგრძელება)

ჯგუფი ახორციელებს საბაზრო რისკის მართვას საბაზრო რისკის პოლიტიკის მეშვეობით, რომელიც განსაზღვრავს, თუ რა არის საბაზრო რისკი ჯგუფისათვის; ადგენს, თუ რის საფუძველზე ხდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების შეფასება; განსაზღვრავს აქტივების განაწილებასა და პორტფელის ლიმიტის სტრუქტურირებას; ახდენს ინსტრუმენტის ტიპისა და გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით დივერსიფიკაციას; ადგენს თითოეული კონტრაგენტისა და კონტრაგენტთა ჯგუფის საქმიანობის ლიმიტებს გეოგრაფიულ და ინდუსტრიულ სეგმენტებთან მიმართებაში; ახდენს ჰეჯირების კონტროლს; განსაზღვრავს საბაზრო რისკის დონის აღრიცხვას და მონიტორინგის უფლებამოსილების დარღვევას; ადგენს რისკის პოლიტიკის შესაბამისობის შემოწმება ცვალებად და შესაბამის გარემოსთან; ახდენს პერიოდულ შეფასებას პოტენციური დანაკარგებისა, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას ბაზრის მდგომარეობის არასასურველი ცვლილების შედეგად; აწესებს და ინარჩუნებს შესაბამისი ზარალის შეზღუდვებს.

*საპროცენტო განაკვეთის რისკი*

საპროცენტო განაკვეთის რისკის წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, თუ საპროცენტო განაკვეთების ცვლილებები გავლენას მოახდენს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებაზე ან ფინანსურ ინსტრუმენტების მომავალ ფულადი სახსრების ნაკადზე.

კომპანიას არ აქვს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, ამიტომ მას არ ემუქრება ფულადი სახსრების მოძრაობასთან დაკავშირებული საპროცენტო რისკი.საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები ასევე არ ახდენს გავლენას კომპანიის კაპიტალზე.

31 დეკემბრის მდგომარეობით, ეფექტური საშუალო საპროცენტო განაკვეთები ვალუტების მიხედვით, საპროცენტო განაკვეთის წარმომქმნელი/მქონე ფულადი ფინანსური ინსტრუმენტებისათვის შემდეგია:

| | 2011 | | 2010 | |
|---|---|---|---|---|
| | *ლარი* | *აშშ დოლარი* | *ლარი* | *აშშ დოლარი* |
| მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ | 14.9% | 6.3% | 12.5% | 10.7% |
| ფინანსური ვალდებულებები | 16.5% | 12.9% | 16.1% | 13.5% |

*სავალუტო რისკი*

ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულადი სახსრების მოძრაობაზე გავლენას ახდენს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილება. ჯგუფი ტრანზაქციებს ახორციელებს ძირითადად ლარებში, და უცხოური ვალუტის კურსის რისკი წარმოიშვება უპირველესად აშშ დოლარსა და ევროსთან მიმართებაში, რადგანაც სადაზღვევო ოპერაციების ძირითადი ნაწილი დენომინირებულია აშშ დოლარში.

ჯგუფის ფინანსური აქტივები ძირითადად დენომინირებულია იმავე ვალუტაში, რომელშიც წარმოდგენილია მისი სადაზღვევო და საინვესტიციო ვალდებულებები, რაც ამცირებს სავალუტო რისკს საერთაშორისო ოპერაციებზე. ამგვარად, ძირითადი სავალუტო რისკი წარმოიქმნება აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებებისაგან, რომლებიც არ არის დენომინირებული იმ ვალუტაში, რომელშიც მოსალოდნელია სადაზღვევო და საინვესტიციო ვალდებულებების დარეგულირება.

*(თანხები ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული)*

## 33. რისკების მართვა (გაგრძელება)

### საბაზრო რისკი (გაგრძელება)

*სავალუტო რისკი (გაგრძელება)*

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ვალუტები რომელთა მიმართ კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი რისკი 2011 და 2010 წლების 31 დეკემბრისთვის მის არასავაჭრო მონეტარულ აქტივებსა და ვალდებულებებთან და მის პროგნოზირებულ ფულადი სახსრების ნაკადებთან დაკავშირებით. ანალიზი ვარაუდობს სავალუტო კურსის შესაძლო ცვლილების გავლენას ქართულ ლარზე, როცა სხვა ყველა ცვლადი მუდმივი იქნება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ნეგატიური თანხა ცხრილში ასახავს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში სავარაუდო წმინდა კლებას, ხოლო პოზიტიური თანხა ასახავს წმინდა შესაძლო ზრდას.

| | *2011* | | | |
|---|---|---|---|---|
| | *ლარი* | *აშშ დოლარი* | *ევრო* | *სულ* |
| აქტივები: | | | | |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 3,166 | 3,927 | 13 | 7,106 |
| მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ | 7,588 | 1,855 | - | 9,443 |
| გაცემული სესხები | 5,154 | - | - | 5,154 |
| მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან | 4,074 | 16,464 | 1,676 | 22,214 |
| გადაზღვევის აქტივები | 4,512 | 4,119 | 147 | 8,778 |
| **სულ აქტივები** | **24,494** | **26,365** | **1,836** | **52,695** |
| ვალდებულებები: | | | | |
| ვალდებულებები სადაზღვევო კონტრაქტებიდან | 16,021 | 18,578 | 690 | 35,289 |
| სხვა სადაზღვევო ვალდებულებები | 1,507 | 7,672 | 480 | 9,659 |
| ფინანსური ვალდებულებები | 367 | 26,143 | - | 26,510 |
| საკრედიტო დავალიანებები | 24,334 | 5,482 | - | 30,816 |
| სხვა ვალდებულებები | 5,189 | - | - | 5,189 |
| **სულ ვალდებულებები** | **47,418** | **57,875** | **1,170** | **107,463** |
| **წმინდა პოზიცია** | **(22,924)** | **(31,510)** | **666** | **(54,768)** |
| **სავალუტო განაკვეთის ზრდა %-ში** | | **1.1%** | **15.8%** | |
| **გავლენა მოგებაზე** | | **(347)** | **105** | |
| **სავალუტო განაკვეთის ზრდა %-ში** | | **(1.1%)** | **(15.8%)** | |
| **გავლენა მოგებაზე** | | **347** | **(105)** | |

*(თანხები ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული)*

## 33. რისკების მართვა (გაგრძელება)

### საბაზრო რისკი (გაგრძელება)

*სავალუტო რისკი (გაგრძელება)*

| | *2010* | | | |
|---|---|---|---|---|
| | *ლარი* | *აშშ დოლარი* | *ევრო* | *სულ* |
| **აქტივები:** | | | | |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 7,218 | 2,066 | 392 | 9,676 |
| მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ | 3,188 | 3,471 | - | 6,659 |
| მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან | 13,585 | 5,496 | 373 | 19,454 |
| გადაზღვევის აქტივები | 313 | 6,810 | 148 | 7,271 |
| **სულ აქტივები** | **24,304** | **17,843** | **913** | **43,060** |
| **ვალდებულებები:** | | | | |
| ვალდებულებები სადაზღვევო კონტრაქტებიდან | 15,824 | 16,265 | 491 | 32,580 |
| სხვა სადაზღვევო ვალდებულებები | 2,218 | 4,399 | 521 | 7,138 |
| ფინანსური ვალდებულებები | 11,761 | 1,377 | - | 13,138 |
| საკრედიტო დავალიანებები | 1,112 | - | - | 1,112 |
| სხვა ვალდებულებები | 2,299 | - | - | 2,299 |
| **სულ ვალდებულებები** | **33,214** | **22,041** | **1,012** | **56,267** |
| **წმინდა პოზიცია** | **(8,910)** | **(4,198)** | **(99)** | **(13,207)** |
| **სავალუტო განაკვეთის ზრდა %-ში** | | **1.3%** | **12.7%** | |
| **გავლენა მოგებაზე** | | **(55)** | **(13)** | |
| **სავალუტო განაკვეთის ზრდა %-ში** | | **(1.3%)** | **(12.7%)** | |
| **გავლენა მოგებაზე** | | **55** | **13** | |

უცხოური ვალუტა ძირითადად წარმოდგენილია აშშ დოლარისა და ევროს სახით, თუმცა აგრეთვე ასახულია ეგთოს სხვა ვალუტებიც. ჯგუფის ფულადი სახსრების მოძრაობა (შემოსავალი, საოპერაციო ხარჯები) ძირითადად ხდება ქართულ ლარებში. შედეგად, ქართული ლარისა და აშშ დოლარის გაცვლით კურსში მომავალი ცვლილებები ზეგავლენას მოახდენს ჯგუფის აშშ დოლარში (ან ევროში) დენომინირებულ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებზე. ამგვარმა ცვლილებებმა ასევე შეიძლება იმოქმედოს ჯგუფის უნარზე განახორციელოს ინვესტიციები არაფულად აქტივებში, რომლებიც მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებებში განსაზღვრულია აშშ დოლარში.

*ფასების რისკი*

ჯგუფისფასების რისკი დაკავშირებულია იმ ფინანსურ აქტივებთან და ვალდებულებებთან, რომელთა ღირებულებაც მერყეობს საბაზრო ფასების ცვლილების შედეგად, ძირითადად იმ ფასიან ქაღალდებიდან, რომლებიც არ შედის საერთო ბიზნესის ანგარიშებში. ჯგუფს არ ჰქონდა ასეთი ფინანსური აქტივები და ვალდებულებები 2011 და 2010 წლების 31 დეკემბრისათვის.

*(თანხები ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული)*

## 34. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

### სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური ინსტრუმენტები

ჯგუფი იყენებს შემდეგ იერარქიას ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისა და წარდგენისათვის

- დონე 1: კოტირებული (არაკორექტირებული) ფასები აქტიურ ბაზრებზე იდენტური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის;
- დონე 2: მეთოდები, რომლითაც შესაძლებელია ყველა იმ ინფორმაციაზე დაკვირვება, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მიმდინარე სამართლიან ღირებულებაზე;
- დონე 3: მეთოდები, რომელიც იყენებს ინფორმაციას, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აღრიცხულ სამართლიან ღირებულებაზე, რომელიც არ ემყარება დაკვირვებადსაბაზრო მონაცემებს.

ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი გვიჩვენებს სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეების მიხედვით აღიარებული ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზს:

| | *2011* | | | |
|---|---|---|---|---|
| | *დონე 1* | *დონე 2* | *დონე 3* | *სულ 2011* |
| ***ფინანსური აქტივები*** | | | | |
| გასაყიდად არსებული საინვესტიციო-ფასიანი ქაღალდები | 141 | 2,952 | - | **3,093** |
| | **141** | **2952** | **-** | **3,093** |

| | *2010* | | | |
|---|---|---|---|---|
| | *დონე 1* | *დონე 2* | *დონე 3* | *სულ 2010* |
| ***ფინანსური აქტივები*** | | | | |
| გასაყიდად არსებული საინვესტიციო-ფასიანი ქაღალდები | 213 | 98 | 4,265 | 4,576 |
| | **213** | **98** | **4,265** | **4,576** |

ქვემოთ წარმოდგენილია იმ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის პროცესის აღწერა, რომლებიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით შეფასების მეთოდების გამოყენებით. აღნიშნული მოიცავს ჯგუფის ვარაუდების შეფასებას, რომელსაც ბაზრის მონაწილე მოახდენს ინსტრუმენტების შეფასების დროს.

*გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები*

გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები და საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც ფასდება შეფასების მეთოდის ან ფასწარმოქმნის მოდელის გამოყენებით, უპირველეს ყოვლისა შედგება არაკოტირებული კაპიტალისგან და სავალო ვალდებულებების სახით გამოშვებული ფასიანი ქაღალდებისგან. ეს ფასიანი ქაღალდები ფასდება მოდელების გამოყენებით, რომლებიც ზოგჯერ მოიცავს მხოლოდ ბაზარზე დაკვირვებასდაქვემდებარებულ მონაცემებს,ხოლოზოგჯერ როგორც დაკვირვებას დაქვემდებარებულ, ასევე არა დაქვემდებარებულ მონაცემებს. მოდელში გამოყენებული დაკვირვებას არდაქვემდებარებული ინფორმაცია მოიცავს ვარაუდებს ინვესტიციის მიმღების მომავალ ფინანსურ საქმიანობასთან, მის რისკის პროფილთან დაკავშირებით და ეკონომიკურ ვარაუდებს იმ სამრეწველო და გეოგრაფიულ იურისდიქციასთან დაკავშირებით, რომელშიც მოქმედებს ინვესტიციის მიმღები.

*(თანხები ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული)*

## 34. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება (გაგრძელება)

დონე 2 - ფინანსური აქტივები შეიცავს ფარმაცევტული კომპანია სს ჯიპისი-ს 2,854 ლარის ღირებულების ფასიან ქაღალდებს. 2011 წლის 9 ივნისს, ჯგუფმა ხელი მოაწერა კონტრაქტს ამ ფასიანი ქაღალდების გაყიდვის შესახებ ფიქირებულ ფასად წინასწარ განსაზღვრული გრაფიკის მიხედვით.

*მე-3 დონის ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებაზე გალენა, რომლებიც ძირითადი დაშვებების ცვლილებების სამართლიანი ღირებულებითაა შეფასებული*

ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი გვიჩვენებს მე-3 დონის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიან ღირებულებებზე გავლენას გონივრულიშესაძლო ალტერნატიული დაშვებების გამოყენებით.

| | *2010 წლის 31 დეკემბერი* | |
|---|---|---|
| | *საბალანსო ღირებულება* | გონივრული შესაძლო ალტერნატიული დაშვებების გალენა |
| ***ფინანსური აქტივები*** | | |
| გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები | 4,265 | +/- 583 |

იმისთვის, რომ განესაზღვრა გონივრულად შესაძლო ალტერნატიული ვარაუდები, ჯგუფმა განახორციელა მოდელის არადაკვირვებადი მთავარი ინფორმაციის კორექტირება შემდეგნაირად:

კაპიტალისათვის, ჯგუფმა დაარეგულირა EBITDA(შემოსავალი პროცენტის, გადასახადების, ამორტიზაციის და ცვეთის ხარჯებამდე), სავარაუდო ჯერადის 10%-ით გაზრდით ან შემცირებით, რომელიც ჯგუფის აზრით ექცევა გონივრულად შესაძლო ალტერანტიული ვარიანტების ფარგლებში EBITDA-ს ჯერადების საფუძველზე, რომელიც გამოიყენება საქმიანობის იმავე დარგისადა იმავე გეოგრაფიული ტერიტორიის ფარგლებში.

## 35. დაკავშირებულ მხარეთა გარიგებები

ბასს 24-ის "დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები" შესაბამისად, მხარეები ითვლებიან ერთმანეთთან დაკავშირებულებად, თუკი ერთ-ერთ მხარეს მეორე მხარის გაკონტროლების შესაძლებლობა აქვს ან მეორე მხარეზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია ფინანსური თუ საოპერაციო საკითხების გადაწყვეტასთან დაკავშირებით. თითოეული დაკავშირებული მხარის შესაძლო ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის არსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულ მხრეებს შეუძლიათ ისეთი გარიგებების განხორციელება, რომლის განხორციელებაც ერთმანეთთან კავშირის არმქონე მხარეებს არ შეუძლიათ. ასევე, დაკავშირებულ მხარეებს შორის გარიგებების ვადები, პირობები და მოცულობები განსხვავდება ერთმანეთთან კავშირის არ მქონე მხარეებს შორი გარიგების ვადების, პირობებისა და მოცულობებისგან.

წლის ბოლოს, დაკავშირებულ მხარეთა გარიგებების მოცულობა, დაუფარავი ნაშთები და დაკავშირებული ხარჯები და შემოსავლები მოცემული წლისთვის შემდეგია:

*(თანხები ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული)*

## 35. დაკავშირებულ მხარეთა გარიგებები (გაგრძელება)

| | *2011* | | *2010* | |
|---|---|---|---|---|
| | *მშობელი კომპანია* | *საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმო* | *მშობელი კომპანია* | *საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმო* |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 1,996 | 16 | 2,349 | 79 |
| მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ | 3,247 | – | 1,688 | – |
| მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან | 329 | 236 | 196 | 33 |
| | **5,572** | **252** | **4,233** | **112** |
| **ვალდებულებები** | | | | |
| ფინანსური ვალდებულებები | 13,685 | – | 12,678 | 206 |
| სხვა სადაზღვევო ვალდებულებები | – | 1 | – | – |
| სხვა ვალდებულებები | 66 | – | 55 | – |
| | **13,751** | **1** | **12,733** | **206** |
| **შემოსავალი და ხარჯი** | | | | |
| სადაზღვევო კონტრაქტებიდან მიღებული პრემია | 3,202 | 71 | 2,962 | 36 |
| საპროცენტო შემოსავალი მიმდინარე და სადეპოზიტო ანგარიშებზე ბანკში | 205 | – | 257 | – |
| საპროცენტო შემოსავალი გაცემულ სესხებზე | (2,158) | – | (1,655) | – |
| | **1,248** | **71** | **1,564** | **36** |

ზედა რგოლის ხელმძღვანელობის (2011: 15 ადამიანი; 2010: 15 ადამიანი) ანაზღაურებამ შეადგინა:

| | *2011* | *2010* |
|---|---|---|
| ხელფასები და ბონუსები | 2,518 | 2,167 |
| აქციებზე დაფუძნებული კომპენსაცია | 18 | 48 |
| **სულ ზედა რგოლის ხელმძღვანელობის ანაზღაურება** | **2,536** | **2,215** |

## 36. გარემოებები საანგარიშო თარიღის შემდეგ

2012 წლის თებერვალში სს "ჩემი ოჯახის კლინიკამ" აიღო გრძელვადიანი სესხი 26,967 ლარის ოდენობით 13% წლიური განაკვეთით სს თიბისი ბანკისგან. სესხის დაფარვა უნდა მოხდეს ათი წლის მანძილზე, რითად მოგვარდა 33-ე შენიშვნაში განსაზღვრული ჯგუფის ლიკვიდობის უარყოფითი გეპი. მიღებული სახსრების გამოყენება მოხდება ბლოკ ჯორჯიას მიმართ საავადმყოფოსთან დაკავშირებული კონტრაქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად.

2012 წლის თებერვლის თვეში, სს "ჩემი ოჯახის კლინიკამ" გააფორმა ფორვარდული კონტრაქტი სს "საქართველოს ბანკთან" 14.5 მილიონ აშშ დოლარზე 2.5%-ის წლიური განაკვეთით, და ამგვარად განახორციელა ჯგუფის ღია სავალუტო პოზიციის ჰეჯირება.

*(თანხები ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული)*

## 36. გარემოებები საანგარიშო თარიღის შემდეგ (გაგრძელება)

2012 წლის 3 მაისს, ჯგუფმა შეიძინა სს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია "იმედი L International"-ის 85% წილი. გადახდილმა საფასურმა შეადგინა 6,927 ლარი. შეძენილი კომპანიის წმინდა აქტივები შეადგენს 8,003 ლარს. ხელმძღვანელობა არ მოელის ამ ბიზნეს ოპერაციის შედეგად გუდვილის წარმოშობას. შეძენილი აქტივები და აღებული ვალდებულებები პირობითი იქნება. ჯგუფმა მიიღო კაპიტალი 32,500 ლარის ოდენობით მისი მშობელი კომპანიისგანსს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია "იმედი L International"-ის ვალდებულებების შესასრულებლად სამედიცინო სექტორში, შეძენისა და გაერთიანების პროცესისა და გაერთანებული სადაზღვევო კომპანიის ლიკვიდურობის ხელშესაწყობად.